არაოფიციალური თარგმანი

ევროკომისია

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

ბრიუსელი, 18 ნოემბერი 2015
JOIN(2015) 50 final

ევროპარლამენტის, ევროკავშირის საბჭოს, ევროპისეკონომიკურსი და სოციალური კომიტეტის და რეგიონთა კომიტეტის მიერ მომზადებული

განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა

{SWD(2015) 500 final} 2

I. შესავალი

ევროპისსამეზობლოპოლიტიკას 2004 წელსჩაეყარასაფუძველი.მისიმიზანიიყო, მხარი დაეჭირა ევროკავშირის მიერმის საზღვრებთან მდებარე ქვეყნებისთვის დახმარების განხორციელებაში და მათ ტერიტორიაზე სტაბილურობის, უსაფრთხოებისდაკეთილდღეობის დამკვიდრებაში. ევროკავშირი კვალავაც განაგრძობს ამ მიზნების განხორციელებას, თუმცა, ბოლო წლების მოვლენებმა დაადასტურა, რომ აუცილებელია ახალი მიდგომის შემუშავება, პრიორიტეტების გადახალისება და მუშაობის ახალი სტილის შემოღება.

ბოლო 12 წლის განმავლობაშიევროკავშირის სამეზობლოს არაერთ ქვეყანაში რადიკალური ცვლილებები განხორციელდა. მოხდა პოზიტიური ძვრებიც. ამის მაგალითია ის ნაბიჯები, რომლებიც ადგილობრივმა აქტორებმა რეფორმების წამოწყების მიმართულებით გადადგეს კანონის უზენაესობის, სოციალური სამართლიანობისდამკვიდრებისა და მეტი ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად. მათი ღვაწლი აღინიშნა ნობელის პრემიით, რომელიც დიალოგში ჩართულ ,,ტუნისელ კვარტეტს“ მიენიჭა.

ამავდროულად, კონფლიქტებმა, მზარდმა ექსტრემიზმმა და ტერორიზმმა, ადამიანის უფლებების დარღვევებმა , საერთაშორისო სამართლის სფეროში მომხდარმა სხვა გამოწვევებმა და ეკონომიკურმაარასტაბილურობამ ლტოლვილთა უზარმაზარი ნაკადი გამოიწვია. ამ მოვლენებმა თავისი კვალი დატოვეს ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთზე, რასაც მოჰყვა გამოსვლები არაბულ სამყაროში და ისლამური სახელმწიფოს/დაეშის გაძლიერება. აღმოსავლეთით, რუსეთის უფრო მკვეთრ და გაბედულ საგარეო პოლიტიკას მოჰყვა უკრაინის სუვერენობის, დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის რღვევა. გაჭიანურებული კონფლიქტები კვლავაც აფერხებდა რეგიონისქვეყნების განვითარებას. პარალელურად, ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორისურთიერთგავლენაზეც მოხდა ყურადღების ფოკუსირება. უსაფრთხო მომავლის იმედით ევროკავშირის საზღვრებს ლტოლვილთა მზარდი ნაკადები მოაწყდა. ენერგოკრიზისებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ის, რომ ევროკავშირმა თავის მეზობლებთან ენერგორესურსების, მათი მიწოდების გზებისა და მომწოდებლების დივერსიფიცირებაზე უნდა იზრუნოს. ტეროტისტულმა აქტებმა, მათ შორის სულ ახლახანს, 13 ნოემბერს პარიზში მომხდარმა საზარელმა ტერორისტულმა აქტმა ევროკავშირსა და მთელს მის სამეზობლოზე იქონია გავლენა.

წინამდებარე განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიზანი ევროკავშირსა და მის მეზობლებს უფრო ეფექტური პარტნიორობის შეთავაზებაა. ამ მიზნის მისაღწევად ევროკავშირი თავის ინტერესებს დაიცავს, რაც უნივერსალური ღირებულებების დაცვაში გამოიხატება. ევროკავშირში არსებული სტაბილურობა დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, კანონის უზენაესობასა და ეკონომიკურ გახსნილობას ეყრდნობა. რაც შეეხება განახლებულ ევროპის სამეზობლო პოლიტიკას, მისი ძირითადი პოლიტიკური პრიორიტეტი იქნება სტაბილიზაცია. ასევე, დიფერენცირებული მიდგომა და პროცესზე პასუხისმგებლობის უფრო მეტად გათავისება (,,მეპატრონეობა“). გათვალისწინებული იქნება ის ფაქტი, რომ ევროკავშირის წესებისა და სტანდარტებისკენ პარტნიორთა ლტოლვა არ არის თანაბარი და ასახავს თითოეული ქვეყნის სურვილს, ევროკავშირთან განსხვავებული ტიპისა და ინტენსივობის პარტნიორობა იქონიოს.

ევროკავშირი ვერ შეძლებს რეგიონში არსებულ მრავალ გამოწვევასთან დამოუკიდებლად გამკლავებას; არც ევროკავშირის მიერ რეგიონზე გავლენის მოხდენის უნარია უსაზღვრო, ამიტომ, განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა შექმნის პირობებს მოვლენების პოზიტიური მიმართულებით განვითარების მხარდასაჭერად.

განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც პრეზიდენტი იუნკერის ინიციატივითა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების თხოვნით შემუშავდა, ითვალისწინებს საჯარო კონსულტაციებისშედეგად მოპოვებულ 250-ზე მეტი მონაწილის გამოხმაურებას და წარმოადგენს

წევრი ქვეყნების, პარტნიორი მთავრობების, ევროკავშირის ინსტიტუტების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სოციალური პარტნიორების, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, კვლევითი ორგანიზაციების და საზოგადოების წევრების აზრს; ის ადასტურებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განახლების აუცილებლობას, როგორც შინაარსობრივად, ისე მეთოდოლოგიის თვალსაზრისით.

საჯარო კონსულტაციების პროცესმა აჩვენა, რომ ევროკავშირის მხრიდან იმ ქვეყნებისთვის უფრო ახლო ურთიერთობების შეთავაზება, რომლებმაც მმართველობის რეფორმა განახორციელეს, ზოგიერთ ქვეყანაში ცვლილებებიწაახალისა, თუმცაზოგიერთი პარტნიორი მიიჩნევს, რომ დღევანდელი პრაქტიკა და პოლიტიკა ზუსტი რეცეპტის მიცემას ჰგავს და ადეკვატურად არ ასახავს ამ ქვეყნების მისწრაფებებს. შემდგომმა კონსულტაციებმა დაადასტურა, რომ პარტნიორებმა და ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა უფრო მეტად უნდა აიღონ პროცესის საკუთარ ხელში (განახორციელონ პროცესის ,,მეპატრონეობა“), ხოლო თანამშრომლობა უფრო მიზანმიმართული და შედეგიანი უნდა გახდეს; მეტი მოქნილობაა საჭირო იმისთვის, რომ ევროკავშირმა და მისმა პარტნიორებმა მუდმივად ცვალებად საჭიროებებისა და პირობების დაკმაყოფილება შეძლონ.

დემოკრატიის, ანგარიშვალდებულების და კარგი მმართველობის, ასევე, მართლმსაჯულების რეფორმების წახალისებლად უფრო ეფექტური გზები უნდა გამოინახოს. ამ პროცესში მხარეები ერთად და მიზანმიმართულად იზრუნებენ კანონის უზენაესობისა და ძირითადი უფლებების დამკვიდრებაზე. აქცენტი გაკეთდება ღია ბაზრებზე და ზრდაზე, ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებაზე და განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის შექმნილ პერპექტივებზე – ეს საკითხები სამეზობლოში საზოგადოების სტაბილიზების მთავარი საშუალება გახდება. უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა ენერგოუსაფრთხოებას და კლიმატის ცვლილებას როგორც ევროკავშირში, ისე პარტნიორ ქვეყნებში.

ახალი აქცენტი გაკეთდება პარტნიორებთან მუშაობის გააქტიურებაზე უსაფრთხოების სფეროს რეფორმირების, კონფლიქტების პრევენციის, კონტრტერორიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის საკითხებში. ეს სამუშაო სრულ შესაბამისობაში იქნება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალთან. 13 ნოემბრის პარიზის ტერაქტმა ნათლად წარმოაჩინა მეზობლებთან ინტენსიური თანამშრომლობის საჭიროება. უსაფრთხო და ლეგალური მობილურობა, მოუწესრიგებელი მიგრაციული ნაკადების მართვა, ადამიანთა ტრეფიკინგი და კონტრაბანდა ასევე პრიორიტეტულ საკითხებადაა მიჩნეული.

აუცილებელია განახლებული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში არსებული ინსტრუმენტებისა და რესურსების უფრო მოქნილად და ადეკვატურად გამოყენება. ამასთან, მნიშვნელოვანი იქნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების უფრო სიღრმისეულად ჩართვა მეზობლებთან მუშაობის გააქტიურებაში. ასევე, აუცილებელი იქნება სამოქალაქო საზოგადოებასა და სოციალურ პარტნიორებთან უფრო სიღრმისეული თანამშრომლობა.

რეგიონულ დონეზე აღმოსავლეთ პარტნიორობა კიდევ უფრო გაძლიერდება 2015 წლის რიგისსამიტის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად. ხმელთაშუაზღვის კავშირს შეუძლია უფროდიდი როლი ითამაშოს სამხრეთ სამეზობლოს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერაში. განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა მიმართული იქნება სხვა, სამეზობლოს გარეთ მოქმედი რეგიონული აქტორების ჩართვაზე ისეთ სიტუაციებში, სადაც რეგიონულ გამოწვევებთან გამკლავება გახდება საჭირო.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მდგრადი განვითარების 2030 წლების დღის წესრიგისა და მისი ამოცანების მიღებამ და ევროკავშირის მხრიდან მათი განხორციელების მტკიცე მხარდაჭერამ შექმნა ახალი ტრანსფორმაციული პოლიტიკური ჩარჩო, რომელშიც შესაძლებელია პარტნიორების ჩართვა. მიმდინარეობს წინამდებარე დოკუმენტის მჭიდრო კოორდინირება უფრო

ფართომასშტაბიან საქმიანობასთან, რაც ევროკავშირის მიერ გლობალური საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებას გულისხმობს.

ამ და სხვა ღონისძიებების განხორციელების გზით, ევროკავშირი გააძლიერებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკას, როგორც ყველა პარტნიორთან სამომავლო ურთიერთობის ჩარჩოს.

II. სამეზობლოს სტაბილიზება

ევროპისსამეზობლოპოლიტიკა ევროკავშირის მეზობლებთან ურთიერთობისა და პროცესებში ჩართულობის გრძელვადიანი პოლიტიკაა, თუმცა მან მხედველობაში უნდა მიიღოს ის საკითხებიც, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს. მომდევნო სამი–ხუთი წლის განმავლობაში სამეზობლოს სხვადასხვა ქვეყნისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა სტაბილიზებაა და მისი განხორციელება სასწრაფოდ უნდა დაიწყოს. ხშირად არასტაბილურობის წყარო უსაფრთხოების სფეროს მიღმა უნდა ვეძიოთ. ევროკავშირის მიდგომა არასტაბილუროების წყაროების ფართომასშტაბიან ჭრილში განხილვას გულისხმობს, ყველა სფეროს გათვალისწინებით. სიღარიბე, უთანასწორობა და უსამართლობის გრძნობა, კორუფცია, სუსტი ეკონომიკური და სოციალური განვითარება და შესაძლებლობების ნაკლებობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, არასტაბილურობის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს და გაზარდოს რადიკალიზაციის საფრთხე. განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა მიზანმიმართულად შეეცდება, დაეხმაროს პარტნიორი ქვეყნებისეკონომიკას და გააუმჯობესოს ადგილობრივი მოსახლეობის პერსპექტივები. ეს პოლიტიკა უნდა დაეხმაროს პარტნიორებ ისეთ ქვეყნებად გარდაქმნაში, სადაც მოსახლეობას მოუნდება, რომ თვითონ აშენოს საკუთარი მომავალი და წვლილი შეიტანოს ადამიანების უკონტროლო გადაადგილების აღმოფხვრაში.

საჯარო კონსტულტაციების პროცესის მონაწილეთა დიდმა ნაწილმა, მათ შორის ბევრმა პარტნიორმა ქვეყანამ, მტკიცედ გამოხატეს საკუთარი აზრი იმის შესახებ, რომ ევროკავშირმა პარტნიორებთან უსაფრთხოების სფეროში უფრო მეტად უნდა ითანამშრომლოს. განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, სხვა სფეროების მსგავსად, შესთავაზებს პარტნიორ ქვეყნებს მათზე მორგებულ თანამშრომლობას უსაფრხოების საკითხებში და აქტიურად ეცდება, რომ ევროკავშირის სამეზობლოს ქვეყნებში მიმდინარე პროცესებში ზოგადი ჩართულობა, ითვალისწინებდეს კონფლიქტებთან დაკავშირებულ საკითხებს და სრულად შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართალს, ადამიანის უფლებების საერთაშორისო კანონმდებლობის ჩათვლით. განახლებული ვეროპის სამეზობლო პოლიტიკის მიზანია, იზრუნოს კონფლიქტის ადრეული პრევენციის ღონისძიებებზე და ამ საკითხებში პარტნიორების შესაძლებლობების გაზრდაზე. წინამდებარე კომუნიკაციაში აღწერილი ღონისძიებები სთავაზობსევროკავშირის პარტნიორებს უფრო მეტად მოქნილნი გახდნენგარედან მომდინარე ზეწოლასთან გასამკლავებლად და განამტკიცონ სუვერენული გადაწყვეტილებების მიღების უნარი.

III. ძლიერი პარტნიორობა, ძლიერი სამეზობლო

კონსულტაციის პროცესში დაისვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკასთან დაკავშირებული ზოგადი შეკითხვები– უნდა გაგრძელდეს თუ არა ის და რა ფორმით? პროცესიის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ: *ჩვენი პარტნიორების მოლოდინი განსახვავებულია, ამიტომ ეს ფაქტი უკეთ უნდა აისახოს ჩვენს ურთიერთობებში.

*პარტნიორობის პროცესში აქცენტი უნდა იყოს გადატანილი უფრო ნაკლები რაოდენობის პრიორიტეტებზე
*ევროკავშირის წევრი ქვეყნები უფრო მეტად უნდა ჩაერთონ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში
*პარტნიორები უნდა გახდნენ პროცესების ,,მეპატრონეები", უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა აიღონ მოვლენებზე

კონსულტაციების პროცესის მონაწილეთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული ტიპის პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც აღმოსავლეთ და სამხრეთ სამეზობლოსთვის საერთო იქნება. თუმცა, მკვეთრი იყო მოთხოვნაცვლილებებისა, რომლებიც მეტად იქნება საჭიროებებზე მორგებული და შექმნის უფრო დიფერენცირებულ პარტნიორობას ევროკავშირსა და ყოველ ცალკეულ პარტნიორს შორის და გამოხატავს პარტნიორთა განსხვავებულ სურვილს, უნარს და ინტერესს.

იმ პარტნიორთან, რომელსაც ევროკავშირთან საერთო ფასეულობებზე დამყარებული უფრო სიღრმისეული ურთიერთობების დამყარება სურს, გაგრძელდება ევროკავშირთან უკვე არსებული თანამშრომლობა. საქართველომ, მოლდოვის რესპუბლიკამ და უკრაინამ ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრირების გზა აირჩიეს და ხელი მოაწერეს ასოცირების /ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებებს (AA/DCFTA). მაროკო სარგებლობს ევროკავშირთან უფრო ინტენსიური თანამშრომლობის მქონე ქვეყნის სტატუსით, ხოლო ტუნისს ევროკავშირთან პრივილეგირებული პარტნიორობა აკავშირებს. ევროკავშირი პარტნიორებთან იმისთვის იმუშავებს, რომ უფრო მეტად განვითარდეს მათი ურთიერთობები და მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული არსებული შეთანხმებების ფარგლებში მიმდინარე თანამშრომლობა. ამ პარტნიორობის მხარდასაჭერად ევროკავშირმა უნდა გაზარდოს მათთან პოლიტიკური დიალოგი მინისტრების დონეზე.

2016 წლიდან ევროკავშირი პარტნიორებს ჩართულობის ახალი ეტაპის დაწყებას სთავაზობს, სადაც გათვალისწინებული იქნება პარტნიორობის სამომავლო ხასიათი და აქცენტები. მოსალოდნელია, რომ ჩამოყალიბდება ურთიერთობების სხვადასხვა ტიპი, რომელიც საშუალებას მისცემს ორივე მხარეს, უფრო მეტად გახდენენ პროცესის ,,მეპატრონეები."ევროკავშირი მზადაა განიხილოს, ახალი პარტნიორობის პრიორიტეტების ერთობლივად განსაზღვრის შესაძლებლობა; ამ პროცესში მოხდება ყოველ ცალკეულ პარტნიორთან არსებული ურთიერთობების საერთო ინტერესებზე ფოკუსირება.

სტიმულზე დამყარებული მიდგომა (,,მეტი მეტისთვის") წარმატებული გამოდგა და ხელი შეუწყო რეფორმების განხორციელებას იმ პარტნიორ ქვეყნებში, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ კარგი მმართველობის, დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების სფეროს რეფორმირებაში. თუმცა, პოლიტიკური ნების არარსებობის პირობებში ამ მიდგომამ ვერ გაამართლა – ის ვერ გამოდგა რეფორმების განხორციელების მძლავრი სტიმულად. ასეთ შემთხვევებში ევროკავშირი ეცდება გამონახოს უფრო ეფექტური გზები პარტნიორ ქვეყნებში ფუნდამენტური რეფორმების წახალისების გზაზე, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, ეკონომიკური და სოციალური აქტორების მონაწილეობით.

ყველა პარტნიორი ქვეყნის შესახებ პერიოდული ანგარიშების ერთდროულად გამოქვეყნების პრაქტიკა გაუქმდება. ამის ნაცვლად ევროკავშირი ახალი ტიპის შეფასებას შემოიღებს, სადაც ძირითადი აქცენტი პარტნიორებთან შეთანხმებული ამოცანების შესრულებაზე იქნება

გადატანილი. ეს ანგარიშები დროში ისე იქნება დაგეგმილი, რომ შესაძლებელი გახდეს პარტნიორ ქვეყნებთან ისეთი მაღალი დონის შეხვედრებზე, როგორიცაა ასოცირების და თანამშრომლობის საბჭოს სხდომები და პოლიტიკის თემებზე აზრთა გაცვლა–გამოცვლა. იმ პარტნიორებისთვის,რომლებსაც აქცენტის გადატანა უფრო მცირე რაოდენობის სტრატეგიულ პრიორიტეტებზე სურთ, ანგარიშების მომზადების მექანიზმი ახალ აქცენტებზე იქნება მორგებული. კონკრეტული ქვეყნის შესახებ ანგარიშის მომზადების გარდა, მომზადდება რეგულარული ანგარიშები სამეზობლოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ამ ანგარიშებში ასახული იქნება ,,ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის რეგულაციით“ გათვალისწინებული ელემენტები, ძირითადი თავისუფლებების, კანონის უზენაესობის, გენდერული თანასწორობის და ადამიანის უფლებებების საკითხების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით.

განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების უფრო ფოკუსირებული ძალისხმევას მოითხოვს. ევროკავშირის გავლენა ზევრად იზრდება, როდესაც მისი წევრი ქვეყნები ერთიანი პოზიციითა და ერთიანი გზავნილის საფუძველზე მოქმედებენ. როდესაც ევროკავშირი თავის რესურსებს სტრატეგიულად და კოორდინირებულად იყენებს, მას უფრო მეტის შეთავაზება შეუძლია პარტნიორებისთვის. ამიტომ, პარტნიორებთან დისკუსიის პარალელურადგაიზრდება ევროკავშირის საბჭოსა და წევრი ქვეყნების როლი პრიორიტეტების განსაზღვრასა და მათგანხორციელებაში დახმარების გაწევაში. მოხდება, ასევე, ერთობლივი პროგრამირება. ზოგიერთი ინიციატივის შემთხვევაში ევროკავშირის წევრი ქვეყნები წამყვანი პარტნიორის როლს ითამაშებენ, ზოგან კი მათი როლი რეფორმების პროცესში დამხმარებით შემოიფარგლება.

ევროკომისია და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი რეგულარულად მიაწოდებენ ინფორმაციას ევროპარლამენტს, ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტებს და რეგიონთა კომიტეტს ახალი ევროპის სამეზობლო პოლიტიკისგანხორციელების შესახებ.

IV. კარგი მმართველობა, დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები

კონსულტაციების პროცესმა დაადასტურა ძალზე მყარი შეხედულება იმის თაობაზე, რომ ევროკავშირმა – ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საშუალებით –უნივერსალური ღირებულებები უნდა დაიცვას და მათი პოპულარიზება უნდა მოახდინოს. დადასტურდა ასევე, რომ იმ მეთოდებს, რომელიც დღეს გამოიყენება, ბევრი ადამიანი არაეფექტურად მიიჩნევს და თვლის, რომ ისინი ხელს უშლიან თანაბარ პარტნიორობას. *ევროკავშირი ერთგულად განაგრობს კარგი მმართველობის, დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობას *ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში გამოიძებნება რეფორმების წახალისების უფრო ეფექტური გზები თითოეულ პარტნიორთან ორმხრივად შეთანხმებულ ფორმატში *ევროპის სამზობლო პოლიტიკა სამოქალაქო საზოგადოებას უფრო დიდ მხარდაჭერას გაუწევს

კანონის უზენაესობისა და დამოუკიდებელი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფა ევროკავშირისთვის პრიორიტეტულ საკითხებად დარჩება. ესსაკითხები უმნიშვნელოვანესია სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობის, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობისა და სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ევროკავშირის პარტნიორებთან

ურთიერთობის ძირითად მიზნად კვლავაც დარჩება ხელშეწყობა დამოუკიდებელი, გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი მართლმსაჯულების სისტემისა, რომელიც უზრუნველყობს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომ მართლმსაჯულებას, ადამიანის უფლებების დაცვას, გენდერულ თანასწორობას, დისკრიმინაციის აღმოფხვრას და კანონის სრულად შესრულებას. პასუხისმგებლობით აღსავსე საჯარო სამსახურისა და ადგილობრივი ხელისუფლების არსებობა დემოკრატიული მმართველობისა და ეკონომიკური განვითარების ძირითადი შემადგენელია. სწორედ ამიტომაასაჯარო ადმინისტრაციის რეფორმა ასე მნიშვნელოვანი დაგულისხმობს დემოკარტიული და დამოუკიდებელი ინსტიტუტების და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მშენებლობას, სახელმწიფო სამსახურის დეპოლიტიზებას, ელექტრონული მმართველობის განვითარებას, ინსტიტუტების გამჭვირვალობის და ანგარიშგების გაზრდას. ევროკავშირი დაეხმარება პარტნიორებს პოლიტიკის შემუშავების, მომსახურების მიწოდების და საჯარო ფინანსების მართვის უნარების დახვეწაში და ეროვნული პარლამენტების მუშაობის გაუმჯობესებაში.

აუცილებელია, ასევე ეფექტური ანტიკორუფციული ზომების მიღება, განსაკუთრებით პრევენციული ხასიათისა, განსაკურთებით ფართომასშტაბიანი საჯარო შესყიდვების, (რე)პრივატიზაციის, სახელმწიფოს მიერ კონტროლიბად კომპანიებში ან მსკავს კომპანიებში, სადაც კორუფციის რისკი მაღალია. ამასთან, უნდა გაძლიერდეს სამოქალაქო საზოგადოების წამყვანი როლი ამ სფეროში.

ევროკავშირი გააგრძელებს მუშაობას ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის საკითხებზე, მათ შორის საარჩევნო საკითხებზეც, პარტნიორი ქვეყნების მთავრობებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და მოქალაქეებთან იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც ევროკავშირის შესახებ შეთანხმებასა და ევროკავშირის ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის სამოქმედო გეგმაშია ასახული. ევროკავშირი ხელს შეუწყობს და დაიცავს ადამიანის უფლებების უნივერსალურობას და ყველა ადამიანის უფლებას როგორც საკუთარ საზღვრებში, ისე ყველა ქვეყანასთან პარტნიორობის პროცესში.

ადამიანისუფლებებისა და დემოკარტიის საკითხებზე ევროკავშირი ყველა პარტნიორთან ინკლუზიურ დიალოგს წარმართავს; საუბარი შეეხება ისეთ საკითხებსაც, სადაც მათ განსხვავებული გამოცდილება აქვთ. ყველა ჩვენს პარტნიორთან წარმოებული პოლიტიკური დიალოგის დღის წესრიგის შემადგენელი ნაწილი კვლავაც ადამიანის უფლებები და დემოკრატია იქნება, ორმხრივად შეთანხმებულ ფორმატში. მოხდება დახმარების გაწევა სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით გამართული ფორუმებისთვის.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა 2016–2020 წლების ევროკავშირის გენდერულ სამოქმედო გეგმას[1], რომელიც მიწოდებულ უნდა იქნეს ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის პროგრამირების.პროცესში და დაეხმაროს გოგონებისა და ქალების როლის გაძლიერებას და შესაბამისობაში უნდა იყოს 2030 წლის უნივერსალურ დღის წესრიგთან. ძირითადი აქცენტი გაკეთდება ქალებისა და გოგონების ფიზიკურ სიძლიერისა და ფსიქოლოგიურისიმტკიცის, მათი სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვაზე, მათთვის მართლმსაჯულების, განათლების, ჯანდაცვის და სხვა მომსახურებების ხელმისაწვდომობაზე, მათი ხმის უფლებისა და

[1]13201/15 ევროკავშირის საბჭოს შედეგების ამსახველი დოკუმენტი (Council Conclusions) 26 ოქტომბერი 2015

პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებაზე და ისეთი ცვლილებების განხორციელებაზე ინსტიტუციურ კულტურაში, რომ აქცენტი ზემოხსენებული პრინციპების განხორციელებაზე იქნეს გადატანილი.

ევროკავშირი ხელს შეუწყობს მოქალაქეებში ისეთი უნარის განვითარებას, რომელიც მათ მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდაში დაეხმარება. ევროკავშირი იზრუნებს მედიაში პლურალიზმის, დამოუკიდებლობისა და პროფესიონალიზმის გაზრდაზე; ის დაეხმარება მედიას, წარმართოს საჯარო დებატები და გახდეს ცვლილებების კატალიზატორი პარტნიორ ქვეყნებში. მოხდება ასევე ღია და თავისუფალი ინტერნეტის ხელშეწყობა.

უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოებაში პარტნიორობის წახალისება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე რეგიონის დონეზე და რეგიონთაშორის დონეზე პირდაპირი დახმარების გაწევის გზით და, ასევე, სხვა ორგანიზაციების ჩართვის საშუალებით. დემოკრატიის ევროპულ ფონდს (European Endowment for Democracy) მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ამ თვალსაზრისით. ევროკავშირმა მხარი უნდა დაუჭიროს სამოქალაქო საზოგადოების წიაღში მომუშავე პროფესიონალებს და ლიდერებს ისეთი პროგრამების საშუალებით, როგორიცაა სტიპენდიები სამოქალაქო საზოგადოებისთვის, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდების განსაკუთრებულ როლს.

სამეზობლოს ბევრ ქვეყანაში ეთნიკური, რელიგიური და კულტურული იდენტობა და ტრადიციები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრექაში. საჯარო კონსულტაციების პროცესის მონაწილეები ყურადღებას ამახვილებდნენ ამ ფაქტორებზე და სთხოვდნენ ევროკავშირს, უფრო მეტი საშუალება მიეცა ,,თანა–მეპატრონეობის" შემუშავებისთვის. ამიტომ, ევროკავშირმა სულ უფრო უნდა გაზარდოს კავშირები როგორც სამოქალაქო საზოგადოებასთან, მისი ფართო გაგებით, ისე სოციალურ პარტნიორებთან.

V. სამომავლო თანამშრომლობისთვის შეთავაზებული ერთობლივი პრიორიტეტები

ეკონომიკური თანამშრომლობა სტაბლიზაციის მისაღწევად

კონსულტაციის პროცესში მონაწილე პარტნიორებმა ევროკავშირთან თანამშრომლობის სერიოზული ინტერესი გამოთქვეს ეკონომიკური განვითარების და მოდერნიზაციის, ინვესტიციების და ახალგაზრდების დასაქმების საკითხებში. ეს საკითხები დაკავშირებულია მობილურობასა და ევროკავშირში გამგზავრებასა და მუშაობაში არსებულ ინტერესთან.

ევროკავშირის დახმარება სამეზობლოს სტაბილიზებასა და პარტნიორობის განვითარებაში ძირითადად ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე უნდა იყოს კონცენტრირებული. ქვეყნის ეკონომიკური მოქნილობის უზრუნველსაყოფად ეკონომიკური მმართველობის გაძლიერება, ფისკალური სტაბილურობის განმტკიცებადა სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერა მეტი კონკურენტუნარიანობისა, ზრდისა და სოციალური განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ეკონომიკური რეფორმები სამეზობლოსთვის პრიორიტეტულია. ევროკავშირი გააგრძელებს სამეზობლოს მხარდაჭერას მაკროფინანსური დახმარების საშუალებით. ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს ახალი შესაძლებლობების შექმნას

ტრეინინგს საშუალებით იმისთვის, რომ შეიქმნას ახალი თაობის საჯარო სამსახური, რომელიც შეძლებს ეფექტურ და ინკლუზიურ ეკონომიკურ მართვას და მდგრადი სოციალურ შედეგების მიღწევას. თანამშრომლობის სხვა ასპექტებიაეკონომიკური მოდერნიზაცია, ინოვაციების წახალისება, სამუშაო ადგილების შექმნა, უნარების განვითარება, ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული კავშირები და სხვა.

შესაძლებელია ბევრი ახალი და უკვეარსებული ინტრუმენტის უფრო ეფექტურად გამოყენება, რომ უკეთესი პირობები შეიქმნას სამუშაო ადგილებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ევროკავშირმა უფრო ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, განსაკუთრებით ევროპის საინვესტიციო ბანკთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, მსოფლიო ბანკთან, სავალუტო ფონდთან და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან კერძო სექტორის განვითარებისა და ისეთი ინიციატივებისთვის, რომლებიც ხელს უწყობს ზრდას, დასაქმებას და მოქალაქეთა ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ამასთან, ხელი უნდა შეეწყოს კერძო სექტორთან პარტნიორობის განვითარებას. ასევე, უნდა გაიზარდოს ინოვაციური მიდგომები, როგორიცაა გრანტებისა და სესხების ,,ერთმანეთში შერევა“, რაც მნიშვნელოვანი საშუალებაა დამატებითი თანხების მოსაზიდად და ევროკავშირის დახმარების შედეგების გასაზრდელად.

<u>ვაჭრობა</u>

კონსულტაციების პროცესმა გვიჩვენა, რომ ბაზარზე წვდომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თუმცა ისიც გამოჩნდა, რომ სავაჭრო შეთანხმებებში უფრო მეტი მოქნილობაა საჭირო. *უნდა შეიქმნას ერთიანი ეკონომიკური სივრცე მათთან, ვინც DCFTA–ს შემოუერთდება *უფრო მარტივი და მოქნილი სავაჭრო შეთანხმებები მათთან ვინც არ არის შეერთებული სავაჭრო სივრცეს

დღეისათვის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში კეთილდღეობის ხელშეწყობის ძირითადი ინსტრუმენტი არის ევროკავშირის ბაზარზე წვდომის უზრუნველყოფა. სამეზობლოს ზოგიერთმა ქვეყანამ ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრირების გზა აირჩია. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამმა ქვეყანამ (საქართველო, უკრაინადა მოლდოვის რესპუბლიკა) ხელი მოაწერეს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეს (DCFTA) ასოცირების შეთანხმებების ფარგლებში. სამხრეთ სამეზობლოში DCFTA–ს შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობს ერთ ქვეყანასთან – მაროკოსთან, მაშინ როდესაც ტუნისთან მოლაპარაკებები მხოლოდ ახლა დაიწყო. ევროკავშირი მხარს დაუჭერს მიმდინარე მოლაპარაკებებს სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორებთან დიფერენცირებული, პროგრესული და ასიმეტრიული მიდგომების გამოყენებით, რომლებიც სართო პრიორიტეტებს ეფუძნება. ევროკავშირი დაეხმარება სამეზობლოს ქვეყნების ისეთი შიდა რეფორმების განხორციელებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს AA/DCFTA–ს და სხვა ორმხრივი შეთანხმებების განხორციელებას.

პარტნიორებისთვის უმთავრეს პრიორიტეტი AA/DCFTA –ს სრულად და ეფექტურად განხორციელებაა. აღმოსავლეთ პარტნიორობის 2013 წლის ვილნიუსის და 2015 წლის რიგის სამიტებზე ითქვა, რომ AA/DCFTA –ს განხორციელებას თან სდევს რეფორმები, რომლის შედეგად მოხდება პარტნიორების საერთაშორისო სტანდარტებთან და ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებთან ფართომასშტაბიანი დაახლოება, რაც პარტნიორების შიდა ბაზარზე

თანდათანობით ინტეგრირებას და, შესაბამისად, ეკონომიკური სივრცის შექმნას გამოიწვევს. პარტნიორებსა და ევროკავშირს შორის ინტეგრირების ასეთი ამბიციური, გრძელვადიანი ხედვა ძალზე სასურველია. ის წვლილს შეიტანს, ასევე მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წესებისა და ქვეყნების სუვერენულ არჩევანზე დაფუძნებული ეკონომიკური კეთილდღეობის უფრო ფართო არეალის შექმნაში. თუმცა, დღეს ზოგიერთი პარტნიორისთვის ამგვარი მოდელი მიუღებელია. მათთვის, ვისაც არ სურს DCFTA-ს შესახებ მოლაპარაკებების წარმოება, ჩვენ ერთობლივად შევიმუშავებთ მომხიბვლელ და რელისტურ ალტერნატივებს ვაჭრობასა და ინტეგრაციაზე მიმართული ისეთი ურთიერთობების წაახალისებლად, რომლებიც ორმხრივ ინტერესებს დაეფუძნება. შეძლებისდაგვარად, ევროკავშირი პარტნიორებს უფრო მეტ მოქნილობას და უფრო იოლ ვარიანტებს შესთავაზებს, რომლებიც განსხვავებული იქნება არსებული პრეფერენციული და არაპრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებებისგან იმ პარტნიორებისთვის, ვისაც არ სურს თავიდანვე ყველა სფეროში ჩაბმა.

ამის მაგალითია ,,შესაბამისობის შეფასებისა და მიღების შესახებ შეთანხმებების“(Agreements on Conformity Assessment and Acceptance –ACAAs)ხელმოწერის შესაძლებლობა, რაც საწარმოო საქონლის თავისუფალი მიმოქცევის საშუალებას შექმნის, რაც გათვალისწინებულია AA/DCFTA–ით. ,,შესაბამისობის შეფასებისა და მიღების შესახებ შეთანხმებები“ შეიძლება სასარგებლო გახდეს სხვა სამზობლო ქვეყნებისთვის, რომელთა ევროკავშირთან ურთიერთობა ითვალისწინებს დაახლოებას ტექნიკური რეგულირების, სტანდარტების და შესაბამისობის შეფასების სფეროებში.
ევროკავშირი კვლავაც განაგძობს სამეზობლოს პარტნიორებს და მათ სავაჭრო პარტნიორებს შორის ვაჭრობის წახალისებას.

<u>ეკონომიკური მოდერნიზება და მეწარმეობა</u>

* უკეთეს ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შექმნაზე მიმართული ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა * ზდის მხარდაჭერა მცირე და საშუალო საწარმოების წახალისების გზით * ზდის მხარდაჭერა არსებული სექტორების მოდერნიზების და მათი დივერსიფიცირების გზით

ევროკავშირი მხარს დაუჭერს პარტნიორებს ეკონომიკის მოდერნიზებაში, რომ მოხდეს გონივრული და მდგრადი ზრდა ეკონომიკური დიალოგის, პოლიტიკური კონსულტირების და ფინანსური დახმარების მობილიზეის გზით. ის წაახალისებს უკეთესი ბიზნეს გარემოს შექმნას და რეფორმებს, რომლებიც უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვისა და სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას გააჩენს. ის, ასევე, ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას, რაც დასაქმების უმთავრესი წყაროა (ევროკავშირი უკვე ეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს DCFTA-ს მექანიზმის საშუალებით და ხელს უწყობს მათ ფინანსებზე და ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესებაში. რეფორმების მხარდაჭერა ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის (მაგალითად, უნარების განვითარება, სოციალური დაცვა, განათლება, წყლის რესურსები და ჯანდაცვა) მხარდასაჭერად აუცილებელია.

ღირსეული და მდგრადი სამუშაო ადგილების შესაქმნელად აუცილებელია სამეზობლოში კვლევის, მეცნიერებისა და ინოვაციების წახალისება, რაც ეკონომიკის მოდერნიზებასა და დივერსიფიცირებას შეუწყობს ხელს და გაზრდის სამეზობლოს ქვეყნების ევროკავშირის ისეთ

ინიციატივებში მონაწილეობას, როგორიცაა ევროკავშირის პროგრამა ,,საწარმოთა ევროპული ქსელი“, ,,ჰორიზონტი 2020“, ,,პროგრამა COSME“, GÉANT; ასევე, წაახალისებს ევროკავშირში შემუშავებული “სმარტ“ სპაციალიზაციის კონცეფციას, რომელიც ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში სპეციალურად კვლევის და ინოვაციებისთვის შემუშავდა. უნდა მოხდეს ევროკავშირსა აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობლებს შორის ცოდნის და ინოვაციების საერთო სივრცის შექმნა. ამ პროცესში უნდა იქნეს გამოყენებული სამეცნიერო მიღწევები, რაც ხელს შეუწყობს ცოდნაზე დაფუძნებულ სამუშაო ადგილების შექმნას და მოიზიდავს ინვესტორებს ევროკავშირსა და სამეზობლოში არსებულ ინოვაციურ ბიზნესში თანხების დასაბანდებლად. ერთობლივი პროგრამების ,,პარტნიორობა კვლევისა და ინოვაციებისთვის ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მის მეზობლებს შორის (PRIMA)“ საშუალებით, რომელიც პროგრამა ჰორიზონტი 2020–თანაა დაკავშირებული,

ევროკავშირი გააგრძელებს ერთობლივ კვლევასა და პრიორიტეტებზე მუშაობას და მათ დაახლოებას პარტნიორებთან.

სამეზობლოს ბევრ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა სამუშაო ადგილების შექმნის ძირიადი წყაროა. ევროკავშირმა უნდა გააგრძელოს ამ სფეროში არსებული მდგრადი და ინკლუზიური პოლიტიკისა და მოდერნიზებაში ინვესტირების წახალისება, ასევე დივერსიფიცირება სხვა, მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობაზე რეგიონებში. ევროკავშირი წაახალისებს ეკონომიკას, რომელიც რესურსების ეკონომიურად გამოყენებაზეა ორიენტირებული და ყურადღებას დაუთმობს გარემოსდაცვით გამოწვევებს, როგორიცაა ბუნებრივი რესურსების დეგრადირება და კონკურენცია ამ სფეროში. ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწოს,ასევე, საზღვაო ეკონომიკის განვითარებას და მეზობლებთან ერთად უნდა იმუშაოს საერთო ზღვების მდგრადი გამოყენებისთვის ერთიანი ხედვის შემნაზე.

უნდა გაძლიერდეს ციფრული ეკონომიკის მხარდაჭერა და მოხდეს ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ციფრული გარემოს ჰარმონიზება. ამ გზით შეიქმნება სამუშაო ადგილები, მოხდება ზრდა და ინოვაციების წახალისება, რაც განსაკუთრებულ სარგებელს მოუტანს ახალგაზრდობას განათლების და დასაქმების თვალსაზრისით როგორც ადგილზე, ისე დისტანციურად და ხელს შეუწყობს მათ, დაიწყონ ბიზნესი მცირე საწყისი კაპიტალით.

<u>დასაქმება და დასაქმების შესაძლებლობა ახალგაზრდებისთვის</u>

* აქცენტი სამუშაო ადგილებსა და უნარებზე, განსაკუთრებითახალგაზრდებისთვის
* პროგრამა ერაზმუს+ ისთვის მეტი დახმარების გაწევა
* ახალი აქცენტის გაკეთება პროფესიულ მომზადებაზე
* ახალი ინიციატივის შექმნა ,,ტვინების“ გადინება–შემოდინებისთვის

ევროკავშირს შეუძლია დამხარების გაწევა ადგილობრივი სამუშაო ძალის უკეთ დასაქმების საკითხში, ასევე აქცენტის გატადატანა მათი უნარების და კომპეტენციების განვითარებაზე, რაც მეტ შესაძლებლობას შეუქმნის განსაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცებს და ქალებს. ამ დახმარებაში იგულისხმება როგორც ,,არაფორმალური განათლება“, ისე პირველი და მეორე ეტაპის განათლებაზე წვდომა, წერა–კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა, უნარ–ჩვევების განვითარება, შეგირდების სისტემისა და უშუალოდ სამუშაო ადგილზე სწავლების წახალისება. ევროკავშირი მნიშვნელოვნად გაზრდის თავისი პარტნიორების ჩართულობას პროგრამა ერაზმუს + –ში,

დაფინანსების გაზრდის საშუალებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა, ასევე, ამ პროგრამაში კონფლიქტური რეგიონების უმაღლესი განათლების დაწესებულებების მონაწილეობასაც. ევროკავშირი ხელს შეუწყობს მობილურობას პროფესიულ განათლებასა და გადამზადებაში, რომ უკეთ დაეხმაროს ამ უმნიშვნელოვანეს სფეროს.ევროკავშირი დაეხმარება ევროპულ და სამეზობლოს ქვეყნებს შორის პროფესიულ განათლებაში ჩაბმული ადამიანების მიმოსვლას (მობილურობას), რომ მათ შეძლონ გამოცდილების მიღება საზღვარგარეთ.

ევროკავშირი კონსულტირებას გაივლის პარტნიორებთან აღმოსავლეთ პარტნიოროების ფარგლებში ახალგაზრდების დასაქმების სფეროში საბჭოს შესაქმნელად. ევროკავშირი ხელს შეუწყობს, ასევე გაცვლებს განათლების, მომზადების და ახალგაზრდობის პოლიტიკის საკითხებში სამხრეთ სამეზობლოს ქვეყნებში რეგიონში არსებული თანამშრომლობის ფორუმების ფარგლებში. ევროკავშირი სთხოვს ევროპის პროფესიული ტრენინგის ფონდს, აქტიური როლი შეასრულოს ამ კონტექსტში.

ევროკავშირი დაეხმარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შეხამებას შრომის უნარებთან და ამ მიმართულებით პოლიტიკის განვითარებას, აკადემიურ წრეებსა და მრეწველობას შორის თანამშრომლობას და სტუდენტების დასაქმებას ცოდნაზე დაფუძნებელი და მდგრადი სამუშაო ადგილების ხელშეწყობის მიზნით; ასევე წაახალისებს ინიციატივებს მათთვის, ვინც ევროკავშირში ისწავლა ან უნარები აითვისა და საკუთარ ქვეყანაში ბრუნდება.

<u>ზრდის უზრუნველყოფაზე მიმართული პარტნიორობა</u>

*პარტნიორობის განვითარება ინვესტიციებისა და ეკონომიკური მოდერნიზების წახალისების მიზნით
*კერძო სექტორის უფრო დიდი ჩართულობა ინვეტიციებისა და რეფორმების გაზრდის მიზნით
*ახალი კავშირების დამყარება კერძო სექტორს, ევროკავშირს, წევრ ქვეყნებსა და იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტრუმენტებს შორის, რომლებიც ზრდასთან, სამუშაო ადგილების შექმნასთან და ახალგაზრდობასთანაა დაკავშირებული

იმ მეზობლებთან, რომლებსაც სურთ, რომ ევროკავშირმა დაამყაროს ჰორიზონტალური კავშირები ზრდის, დასაქმების და ეკონომიკური მოდერნიზების მიზნით. ეს კავშირები გაამყარებს სახელმწიფო და კერძო ინტერესებს, დააახლოებს ევროკავშირის და დაინტერესებული წევრი ქვეყნების, საერთაშორისო საფინანსო ინტსტიტუტების და სხვა პარტნიორების ინტერესებს და ამ გზით დაეხმარებიან ქვეყნებს განვითარებაში ,,სმარტ“ სპეციალიზაციის სტრატეგიასთან შესაბამისად.

კერძოდ, ევროკავშირი წაახალისებს მეწარმეებს, რომ ისინი სამეზობლოს პარტნიორებთან უშუალო კონტაქტებზე გავიდნენ. უფრო სისტემატიურად უნდა განხორციელდეს სამეზობლოს პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური დიპლომატიური ვიზიტები და მოხდეს ევროპული ბიზნესის უფრო სისტემატიური მობილიზება სამეზობლოსთან ინტენსიური ვაჭრობის და ინვესტიციების წახალისების მიზნით. უნდა მოხდეს ამგვარი მისიები გამოიყენება სამეზობლოს დასახმარებლად და იქ ისეთი პარტნიორების გაგზავნა, რომლებიც დაეხმარებიან კონკრეტული, ეკონომიკურ განვითარებაში არსებული გამოწვევების დაძლევაში და განამტკიცებენ მათ

უნარებს, მეწარმეობის კოლტურას და მათ ეკონომიკურ საქმიანობას უფრო დივერსიფიცირებულს გახდიან.

<u>ტრანსპორტი და კავშირები</u>

როგორც კონსულტირების პროცესმა დაადასტურა, უფრო ინტენსიური კავშირების ხელშეწყობა თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი საკითხია * TEN-T ძირითადი ქსელების გავრცობა ისე, რომ მან აღმოსავლეთ პარტნიორების მოიცვას *სამხრეთით ისეთი რეგიონული ქსელების შერჩევა, რომელთა ჩართვაც TEN-T გაიდლაინებში შესაძლებელია

სატრანსპორტო და საკომუნიკაციო კავშირების სფეროში თანამშრომლობას წვლილი შეაქვს პარტნიორების ეკონომიკურ განვითარებაში და შეუძლია პარტნიორებს შორის დიალოგის ხელშემწყობა. აღმოსავლეთ სამეზობლოში არსებული უსაფრთხო და მდგრადი სატრანსპორტო სისტემა, რომელიც ტრანსევროპულ ქსელთანაა მიერთებული (TEN-T) ევროკავშირსა და სამეზობლოში არსებულ პარტნიორ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ევროკავშირმა უნდა მოახდინოს ძირითადი ტრანსევროპული ქსელის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისკენ გავრცობა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და სხვა პარტნიორებთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს ამ გაფართობეულ ქსელში ინვესტიციების მოზიდვას. სამხრეთით უნდა მოხდეს მარეგულირებელი სისტემის ჰარმონიზება 2014–2020 წლების რეგიონული სატრანსპორტო სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც საზღვაო, საავიაციო, სარკინიგზო, საგზაო და ურბანულ ტრანსპორტს შეეხება. ამავდროულად, ევროკავშირმა უნდა განსაზღვროს პრიორიტეტული რეგიონული საინვესტიციო პროექტები და მოამზადოს ინდიკატიური გეგმები სამომავლო ტრანს–ხმელთაშუაზღვის სატრანსპორტო ქსელისთვის. მოხდება ერთიანი საავიაციო სისტემის ხელშეწყობა იმ შეთანხმებების განხორციელების საშუალებით, რომელიც დღეისთვის ხელმოწერილია საქართველოსთან, ისრაელთან, იორდანიასთან, მოლდოვასთან და მაროკოსთანაა ხელმოწერილი (და დასრულების ფაზაშია უკრაინასთან), მოხდება, ასევე ახალი შეთანხმებებზე მოლაპარაკებები. ევროკავშირი უნდა დაეხმაროს პარტნიორებს, მიიღონ სარგებელი საზღვრაო გზებიდან უკეთესი საპორტო ინფრასტრუქტურიდან და მასთან დაკავშირებული სერვისებიდან.
გაგრძელდება ევროკავშირის ტელეკომუნიკაციების სექტორის პარტნიორებთან დაკავშირება აღმოსავლეთისა და სამხრეთის მარეგულირებელთა ჯგუფების საშუალებით და შემდგომი კოსმოსური თანამშრომლობა დაინტრეესებულ პარტნიორებთან.

<u>ენერგოუსაფრთხოება და საქმიანობა კლიმატის სფეროში</u>

კონსულტაციების პროცესში გამოიკვეთა, რომ აუცილებელია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ენერგოთანამშრომლობაზე უფრო მეტი ყურადღების გადატანა, რადგან ის უსაფრთხოების ნაწილიც არის (სენერგეტიკული სუვერენობა) და მდგრადი ეკონომიკური განვითარების საშუალებაც. *უფრო მეტი ენერგოდამოუკიდებლობის მხარდაჭერა ენერგორესურსების დივერსიფიკაციის, ენერგოეფექტურობის საკითხებში უკეთესი თანამშრომლობის და ნახშირორჟანგის დაბალი შემცველობის ეკონონომიკაზე გადასვლის გზით *პარტნიორებთან სამეზობლოს მიღმა თანამშრომლობის ახალი ჩარჩო

უფრო გამძლე ენერგეტიკული კავშირის შექმნის მიზნით, რომელსაც საფუძვლად კლიმატის ამბიციური პოლიტიკა უდევს, ევროკავშირი მზადაა განამტკიცოს ენერგეტიკული დიალოგი სამეზობლოს ქვეყნებთან ენერგოუსაფრთხოების, ენერგობაზრის რეფორმირების და მდგრადი ენერგეტიკის წახალისების სფეროებში. ევროკავშირი დამოკიდებულია თავის სამეზობლოზე უსაფრთხო, დაცული და წინასწარ განჭვრეტადი ენერგოგენერაციის და ტრანსპორტირების საკითხში; ამისთვის აუცილებელია, რომ მან განამტკიცოს დიალოგი პარტნიორ ქვევნებთან ენერგოუსაფრთხოებასა და მდგრად წარმოებასთან დაკავშირებით. ენერგეტიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ასევე, თვით პარტნიორი ქვეყნების სტაბილურობისა და მდგრადობისთვის.

ზოგიერთ ჩვენი პარტნიორი ენერგორესურსებიდან და სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციის განხორციელებიდან მნიშვნელოვან და პოტენციურად მნიშვნელოვან შემოსავალს იღებს, თუმცა, ყოველი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა მეტ–ნაკლებად დამოკიდებულია მდგრად წონასწორობაზე ამ ქვეყნების ენერგომოხმარებასა და მათ მიერ ენერგომოწოდების თუ ენერგოწარმოების ტიპზე. აღმოსავლეთ სამეზობლოს ზოგიერი ქვეყანა ზედმეტადაა დამოკიდებული კონკრეტულ მიმწოდებელზე და, შესაბამისად, სასიცოცხლოდაა დაინტერესებული ენერგიის მომწოდებლების დივერსიფიკაციაში. ევროკავშირი გააგრძელებს ამგვარი ძალისხმევის მხარდაჭერას. სამხრეთის ქვეყნების წინაშეც დგას გამოწვევები, რომლებიც მათი ენერგეტიკაზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზეა მიმართული.

ისეთი ინიციატივები, როგორიცაა გაზის რევერსული ნაკადის შესაძლებლობის შექმნა უკრაინისთვის, სამხრეთის გაზის კორიდორის დასრულება, ახალი ენერგოაღმოჩენების კარგად გამოყენება პოტენციური რისკების შეფასებისას და თავიდან აცილებისას, ძალზე მნიშვენლოვანია პანევროპული ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მეტი თანამშრომლობა ენერგოეფექტურობის, ენერგიის განახლებადი წყაროების, ენერგომოთხოვნის ადექვატურად მართვის, კლიმატის ცვლილების შემცირებისა და ადაპტირებაზე მიმართულ საკითხებში უფრო ეფექტური, კონკურენტუნარიანი, მოქნილი და სტაბილური ეკონომიკის განვითარებას დაეხმარება, გაზრდის ენერგეტიკულ სუვერენობას და შეამცირებს ემისიას. პარიზის კლიმატის შესახებ შეთანხმების სრულად შესრულების პოპულარიზება და შემდგომი ღონისძიებები, მათ შორის ჩვენი პარტნიორების მიერ აღებული ვალდებულებები, ძალზე მნიშვენლოვანია ამ მიზნების შესასრულებლად. ევროკავშირი იმუშავებს საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად და ერთობლივი კვლევის საწარმოებლად, ასევე, წიაღისეული საწვავის სუბსიდირების თანდათანობით დასრულებისთვის; შემოღებული იქნება ემისიის მკაცრი მონიტორინგი, ანგარიშგება და ვერიფიკაციის ჩარჩო, რომელშიც განისაზღვრება ემისიებით ვაჭრობის უფრო გრძელვადიანი გეგმა, რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს ევროკავშირის ემისებით ვაჭრობის სისტემას, როგორც კი ის დაინერგება.

სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობების გასაზრდელად ევროკავშირი გააძლიერებს მოოდლოვის რესპუბლიკის, უკრაინისა და საქართველოს ენერგობაზრების სრულ ინტეგრირებას ევროკავშირში, ენერგოთანამეგობრობის საშუალებით. საერთო ინტერესთა სფეროებში ევროკავშირმა უნდა გააგრძელოს სხვა პარტნიორებთან მარეგულებელი ჩარჩოს დაახლოება. რაც შეეხება სამხრეთ სამეზობლოს პარტნიორ ქვეყნებს, ევროკავშირი მათ შესთავაზებს მათს ინტერესებზე მორგებულ თანამშრომლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ენერგოწარმოებას, მის დისტრიბუციას, ვაჭრობას და ეფექტურ მოხმარებას. პირველ ეტაპზე ევროკავშირი იმუშავებს დაინტერესებულ პარტნიორებთან და საერთაშორისო ენერგეტიკულ სააგენტოსთან იმისთვის, რომ მოხდეს ქვეყნის ენერგოპოლიტიკის სრულმასშტაბიანი გადახედვა, მათ შორის

ენერგოსფეროში ინვესტიციების შემაფერხებელი ფაქტორებისა და შესაფერისი რეფორმების იდენტიფიცირება.

ევროკავშირი დაეხმარება ქვე–რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, მაღრების და სამხრეთ კავკასიის რეგიონებში. სამეზობლოს გარეთ გამოყენებული უნდა იყოს ახალი ,,თემატური ჩარჩო", რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს მუშაობა თურქეთთან, ყაზახეთთან, თურქმენეთთან და, სავარაუდოდ ირანთან და ერაყთან. ეს გაამარტივებს ტრანსრეგიონალურ საქმიანობასა და ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვას, ასევე, შესაძლებელს გახდის საქმიანობის გაგრძელებას INOGATE–ის ტიპის წარმატებული ინიციატივების ფარგლებში. შესაბამისი პირობების შექმნისთანავე, ევროკავშირმა შესაძლოა განიხილოს ენერგეტიკის სფეროში ურთიერთობების გადახედვის შესაძლებლობა რუსეთთან, საერთაშორისო და ევროპული კანონმდებლობის საფუძველზე.

V. 2. უსაფრთხოების ასპექტი

კონსულტაციამ აჩვენა, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში უსაფრთხოებისთვის უფრო დიდი მნიშვნელობის მინიჭების სურვილს ძალზე ბევრი პარტნიორი ამჟღავნებს. ამის მიზეზია პარტნიორების მოქნილობის გაზრდა დღეს არსებულ საფრთხეებთან გამკლავების პროცესში. უსაფრთხოებაზე აქცენტის გადატანა სამეზობლოს ფარგლებში თანამშრომლობის მთელ რიგ ახალ სფეროებს შექმნის. თანამშრომლობის ფარგლებში შესაძლებელია უსაფრთხოების სფეროს რეფორმირება, საზღვრების დაცვა, ტერორიზმთან და რადიკალიზაციასთან გამკლავება და კრიზისების მართვა.

2015 წლის ივნისში ევროკავშირის საბჭომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აუცილებელია, პარტნიორი ქვეყნების გაძლიერება და დახმარება, რომ მათ შეძლონ კრიზისების თავიდან აცილება და მართვა, პოტენციალის გაძლიერებისკენ მიმართული კონკრეტული პროექტების საშუალებით, რომლებსაც ექნება საკმაოდ მოქნილი გეოგრაფიული არეალი. პარტნიორების წინაშე არსებული, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევებიდან გამომდინარე, ევროკავშირმა ყურადღება უნდა გაამახვილოს უსაფრთხოების სფეროს რეფორმირებაზე. ეფუძნება რა ,,ევროპის უსაფრთხოების დღის წესრიგს",[2] განახლებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პრიორიტეტი იქნება ტერიორიზმთან ბრძოლა და რადიკალიზაციის თავიდან აცილება; ასევე, სერიოზულ და ორგანიზებულ ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლა, თანამშრომლობის გაუმჯობესება მართლმსაჯულების და სისხლის სამართლის საკითხებში, კიბერდანაშაულთან ბრძოლა კანონის უზენაესობის და საერთაშორისო კანონმდებლობის, მათ შორის ადამიანის უფლებების საერთაშორისო მართლმსაჯულების სრული დაცვით.

ტრანსსასაზღვრო საფრთხეების ძირითად მიზეზებთან გამკლავებისა და საერთო საზღვრების დაცვის მიზნით, აუცილებელია სამეზობლოს პარტნიორებთან თანამშრომლობაში პროაქტიულად ჩართვა. ტრანსსასაზღვრო საფრთხეებთან გასამკლავებლად უფრო ინტენსიური უნდა გახდეს დაინტერესებულ პარტნიორებთან ინფორმაციის გაცვლა და მათი შესაძლებლობების გაზრდა. ამასთან, ახალი ევროპის სამეზობლო პოლიტიკა იზრუნებს მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორიცაა მიგრანტთა ტრეფიკინგი, ადამიანთა

[2]Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the Economic and Social Committee and the Committee of the Regions : the European Agenda on Security, COM (2015) 185 final

ტრეფიკინგი, სოციალური თანასწორობა და საზღვრის დაცვა/მართვა. შემდგომი ძალისხმევა იქნება მიმართული ქალების, მშვიდობის და უსაფრთხოების შესახებ UNSCR 1325 -ის განმტკიცებასა და გაძლიერებაზე, მის შემდგომ რეზოლუციებზე და გენდერულ პერსპექტივებზე საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვაზე, მის განხორციელებასა და გადახალისებაზე.

უსაფრთხოების სფეროს რეფორმა: ევროკავშირი აპირებს პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების საკითხებზე პასუხისმგებელ ორგანოებთან უფრო ინტენსიური კავშირების დამყარებას. დაინტერესებულ პარტნიორ ქვეყნებს ესაჭიროებათ დახმარება სამოქალაქო და სამხედრო უსაფრთხოების საკითხებში. ამგვარ თანამშრომლობაში შეიძლება იგულისხმებოდეს სტრატეგიული კონსულტირება და რჩევები პოლიტიკის სფეროში, ინსტიტუციური და შესაძლებლობების გაზრდაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელება, დიალოგი სამოქალაქო საზოგადოებასთან და უსაფრთხოების პროგრამების მხრადაჭერა.

ტერორიზმთან ბრძოლა და რადიკალიზაციის პრევენცია: ტერორიზმის და რადიკალიზაციის საფრთხე გავლენას ახდენს როგორც ევროპაზე, ისე მის მეზობლებზე. ამიტომ, ევროკავშირი უფრო ინტენსიურად იმუშავებს პარტნიორებთან კონტრტერორიზმის, რადიკალიზაციის პრევენციის და ძალისმიერი ექსტრემიზმის წინააღმდეგ; მხარს დაუჭერს სისხლისსამართლებრივ დევნას ტერორიზმის დასაძლევად, ასევე ფინანსური ტერორიზმის აღკვეთას ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებძოლი ჩარჩოს წინააღმდეგ. სამოქალაქო საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩაბმა რადიკალიზაციის პრევენციის საკითხში სიცოცხლოდ აუცილებელი იქნება. არსებული ,,რადიკალიზაციის შესახებ ინფორმაციის ქსელის“ (Radicalisation Awareness Network (RAN) ფარგლებში ახლახანს დაარსებული ცენტრი (Centre of Excellence) თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის ძირითადი პლატფორმა გახდება. რადიკალიზაციის წინააღმდეგ მიმართული უფრო ფართომასშტაბიანი საქმიანობა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა არაეფექტური მართლმსაჯულება, გენდერული თანასწორობა, სიძულვილის ენა, უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის, წერა–კითხვის უცოდინრობა და სხვ. ისეთი კულტურათაშორისი დიალოგი, როგორსაც ანა ლინდის ფონდი უჭერს მხარს, უმნიშვნელოვანესია.

ორგანიზებული დანაშაულის აღმოფხვრა: ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია საფრთხეს უქმნის სტაბილურობას რეგიონის მასშტაბით. ევროკავშირმა უნდა გაზარდოს პარტნიორი ქვეყნების დახმარება სერიოზულ და საერთაშორისო დანაშაულთან, მათ შორის მიგრანტთა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ და დანაშაულებრივი ქსელების წინააღმდეგ. ამ მიზნით ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს ფინანსურ გამოძიებებს და ამ გზით დაეხმაროს მხოლოდ სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ საშუალებებს. ამ მიზნით ,,ევროპის უსაფრთხოების დღის წესრიგი“[3] მზად არის გააფართოვოს ,,პოლიტიკის ციკლი“ (სერიოზული და ორგანიზებული დანაშაულის შესახებ) და მოიცვას სამეზობლოს ქვეყნები. ევროკავშირმა უნდა გამონახოს შესაძლებლობა და ჩართოს პარტნიორი ქვეყნები არსებულ ფინანსურ საგამოძიებო ქსელებში (როგორიცაა ფინანსური საგამოძიებო სამსახურები). უფრო მეტიც, ევროკავშირი გააგრძელებს პარტნიორებთან მუშაობას ადამიანების უკანონო ტრეფიკინგის დასაძლევად, ცეცხლსასროლი იარაღით და მსუბუქი შეიარაღებით უკანონო ვაჭრობის აღსაკვეთად და ნარკოდანაულის წინააღმდეგ თანამშრომლობის მიზნით; ევროკავშირი უნდა დაეხმაროს მათ ინტეგრირებული და დაბალანსებული ნარკოპოლიტიკის

[3]The European Agenda on Security (COM(2015)185 final)

განხორციეიელებაში. ევროკავშირი შეძლებისდაგვარად შეეცდება, გააუმჯობესოს მართლმსაჯულების და პოლიციის სფეროში პარტნიორ ქვეევნებთან თანამშრომლობის სამართლებრივი ჩარჩო და იმუშაოს მისი განხორციელებისთვის. ინტერპოლთან ერთად საჭიროა გამოიძებნოს საშუალებები სამართალდამცავი ორგანოების გასაძლიერებლად და მუშაობის გასააქტიურებლად ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესებაზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და ევროპოლთან. რაც შეეხება ,,ევროჯასტს" (EUROJUST), ევროკავშირი ხელს შეუწყობს და გააძლიერებს მასთან თანამშრომლობას ყველა სერიოზული დანაშაულის გამოძიების პროცესში სამართლებრივი თანამშრომლობის გამარტივების მიზნით.

კიბერდანაშაულთან ბრძოლა: ევროკავშირის კიბერდანაშაულის სტრატეგია[4] ქმნის სამოქმედო ჩარჩოს მეზობელ–პარტნიორთა უფრო ინტენსიურად ჩართვისთვის. ევროკავშირმა
პარტნიორებს უნდა შესთავაზოს დახმარება კიბერდანაშაულის სფეროში შესაძლებლობების გაზრდის და მდგრადი საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საქმეში, ასევე კიბერადანაშაულთან და კიბერტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში, მათ შორის საფრთხეების ანალიზის, სამართალდამცავ სტრუქტურებში სპეციალიზაციის, სამართლებრივი ტრენინგის და შესაბამისი ეროვნული პოლიტიკის, სტრატეგიის და ინსტიტუტების შექმნის მხარდაჭერის გზით მესამე ქვეყნებში. ევროკავშირი გააგრძელებს კიბერდანაშაულის შესახებ ბუდაპეშტის კონვენციის, მისი პოპულარიზაციისა და რატიფიკაციის მხარდაჭერას სამეზობლოს პარტნიორებთან. კონვენცია არის მოდელი კიბერდანაშაულის ეროვნული კანონმდებლობის შესაქმნელად და ამ სფეროში თანამშრომლობის საფუძველს წარმოადგენს.

ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური ბირთვული რისკების შემცირება:პარტნიორების დახმარება რეაგირების უნარის გაზრდაში, მათ შორის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ცენტრების (Centres of Excellence) საშუალებით.

ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) სფეროში თანამშრომლობა და გაჭიანურებული კონფლიქტების მოგვარება. ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის არქიტექტურის ფარგლებში შექმნილი სტრუქტურები შეიძლება გახდეს საუკეთესო პლატფორმა გამოცდილების გაცვლის, ასევე საერთო მიზნების მიღწევის საკითხში თანამშრომლობისა და შესაძლებლობების გაზრდისთვის. ახალი სტიმული მიეცემა ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობას. პარტნიორობის სულისკვეთებისა და პასუხისმგებლობის გაზიარების სტიმულირებისთვის უნდა მოხდეს ყოველი ცალკეული პარტნიორი ქვეყნის მონაწილეობის წახალისება CSDP მისიებსა და ოპერაციებში, ევროკავშირის საბრძოლო ჯგუფებში (Battlegroups), უნდა მოხდეს მათი დაკავშირება შესაბამის პროგრამებსა და უწყებებთან, როგორიცაა ევროპის თავდაცვის სააგენტო და ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯი. ევროკავშირი წამოიწყებს პარტნიორ ქვეყნებთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში დიალოგს და ხელს შეუწყობს პარტნიორი ქვეყნების ოფიციალური პირებისა და ოფიცრების მონაწილეობას თავდაცვის სხვადასხვა კოლეჯების მიერ ორგანიზებულ კურსებში. ევროკავშირის მიერ საგარეო კონფლიქტებისა და კრიზისებისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის გათვალისწინებით გამოყენებული იქნება ყველა არსებული საშუალება, მათ შორის CSDP მისიები და ოპერაციები ან ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუტი, რომელიც დაეხმარება კრიზიტების მართვასა და სამეზობლოში გაჭიანურებული კონფლიქტების მოგვარებას.

[4] Cybersecurity Strategy of the European Union: An Open, Safe and Secure Cyberspace (JOIN(2013) 1 final)

კრიზისების მართვა და მათზე რეაგირება: ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს პარტნიორ ქვეყნებში ადრეული შეტყობინების, პრევენციისა და მზადყოფნის შესაძლებლობების გაზრდას სამოქალაქო თავდაცვის სფეროში მჭიდრო პარტნიორობისა და ევროკავშირის სამოქალაქო თავდაცვის მექანიზმის ფარგლებში თანამშრომლობის გზით. ევროკავშირი მეტ ყურადღებას დაუთმობს ჯანდაცვის უსაფრთხოების საკითხებს და შეეცდება გაზარდოს პარტნიორი ქვეყნების ჯანდაცვის საფრთხეებზე ეფექტურად რეაგირების უნარი, მათ შორის გადამდები დაავადებების შემთხვევებში. კრიზისებზე რეაგირების კონტექსტში შესაძლოა განხილულ იქნეს ევროკავშირის სატელიტური ცენტრის მიერ გავრცელებულ ვიზუალურ მასალაზე დაუგეგმავი წვდომა. პროგრამირებაში შედარებითი თავისუფლება და ევროპის სამეზობლოპოლიტიკის და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება უმნიშვნელოვანესია ამ მიდგომის განსახორციელებლად. ამიტომ, უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქმიანობის მჭიდრო კოორდინირება ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში (უფრო ფართომასშტაბიანი CFSP/CSDP ღონისძიებებით), ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ორმხრივი თანამშრომლობა, შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში თანამშრომლობის ჩათვლით. უნდა მოხდეს სხვა ინსტრუმენტებთან სინერგიის შესაძლობლობის მოძიება, ასევე კავშირის დამყარება პრინციპულ და საჭიროებებზე მორგებულ ჰუმანიტარულ დახმარებასთან, ასევე მდგრადობასა და სტაბილიზაციასთან. ყოვლისმომცველი მიდგომის გათვალისწინებით ევროკავშირის წევრი ქვეყნები და ევროკავშირის უწყებები უმნიშვენლოვანეს როლს შეასრულებენ როგორც უსაფრთხოების სფეროსთვის დახმარების შემუშავებაში, ისე მის განხორციელებაში.

V. 3. მიგრაცია და მობილურობა

კონსულტაციების პროცესში გამოჩნდა პარტნიორების დიდი ინტერესი ევროკავშირის მიმართულებით მობილურობის გაზრდაში. კონსულტაციები სწორედ იმ დროს მიმდინარეობდა, როდესაც სამეზობლოს ქვეყნების გავლით მიგრანტთა და ლტოლვილთა დიდი ნაკადი მოძრაობდა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ასახული იქნება უფრო აქტიური თანამშრომლობის აუცილებლობა როგორც რეგულირებული, ისე არალეგულირებული მიგრაციის სფეროში.

*გაიზარდოს სამეზობლოს მიღმა მყოფ პარტნიორებთან თანამშრომლობა

*გაიზარდოს დახმარება მათთვის, ვინც იღებს და ეხმარება ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს

*გაიზარდოს თანამშრომლობა არარეგულირებული მიგრაციის და იძულებით გადაადგილების გამომწვევ სიღრმისეულ საკითხებში

*შედგეს ეფექტური თანამშრომლობა დაბრუნებულთა და რეადმისირებულთა საკითხებში, ასევე, მათი მდგრადი რეინტეგრაციის მიზნით

ასევე

* უკეთ უნდა განისაზღროს ევროკავშირში არსებული უნარების ნაკლებობა, რომ ხელი შეეწყოს ურთიერთსასარგებლო ლეგალურ მიგრაციას;

* ცირკულარული მიგრაციის მეტი ხელშეწყობა

* კვალიფიკაციების აღიარების ხელშეწყობა

* დიალოგის წამომწყება აკადემიური მობილურობის საკითხებზე

როგორც ლტოლვილთა კრიზისმა დაგვანახა, სამეზობლოს სტაბილიზაციის აუცილებელი პირობა არარეგულირებული მიგრაციის და იძულებით გადაადგილების სიღრმისეული მიზეზები გამოკვლევა და მოგვარებაა.

,,მიგრაციის ევროპულმა დღის წესრიგმა“, ევროკავშირის საბჭოს 25-26 ივნისისა და 15-16 ოქტომბრის შედეგებმა, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის და დასავლეთ ბალკანეთის გზის შესახებ 8 ოქტომბრის მაღალი დონის კონფერენციამ და 2015 წლის 11–12 ნოემბრის ვალეტას სამიტმა მიგრაციის საკითხზე დაადასტურეს, რომ აუცილებელია ევროპის სამეზობლოს პარტნიორ ქვეყნებთან სიღრმისეული თანამშრომლობისთვის ახალი პოლიტიკური სტიმულის მიცემა.

<u>პარტნიორებთან თანამშრომლობა ინტეგრირებული მიდგომების გამოყენებით</u>

ბოლო წლების განმავლობაში მიგრაციის და მობილურობის საკითხებზე პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავებას ხელი შეუწყო ვიზის საკითხში დიალოგებისა და ,,პარტნიორობა მობილურობისთვის“ ფარგლებში გამართული რამდენიმე შეხვედრის ჩატარებამ. დამყარდა დიალოგის ფორმატი, აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე სხვა პარტნიორებთანაც. ევროკავშირი მზადაა გაზარდოს თანამშრომლობა სამეზობლოში და მის გარეთ მდებარე ქვეყნებთან – დასავლეთ ბალკანეთთან, თურქეთთან, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, საჰელის რეგიონთან (Sahel region), სომალის ნახევარკუნძულთან (Horn of Africa) და არამარტო მათთან.რეფორმების წახალისებისა და პარტნიორ ქვეყნებში უფრო მჭიდრო თანამშრომლობის გასაღვივებლად, შემოღებული იქნება დიფერენციაციის პრინციპი; იმ ქვეყნებთან, რომლებიც ევროკავშირთან უფრო ინტენსიური ჩართულობის მომხრეა, ვიზებისა და მობილურობის საკითხებზე უფრო ინტენსიური მუშაობა წარიმართება, ვიზა ლიბერალიზაციის და გამარტივების დიალოგების ჩათვლით.

რეგიონული დიალოგები უკვე მიმდინარეობს, ესენია: რაბათისა და ხათუმის პროცესები სამხრეთში, ბუდაპეშტისა და პრაღის პროცესები აღმოსავლეთში, ასევე აღმოსავლეთ პარტნიორობის პლატფორმა მიგრაციის და თავშეფრის საკითხებზე შიდარეგიონული თანამშრომლობისა და პროგრამირებისთვის. შესაძლებელია თემატური ჩარჩოს შემუშავება, რომელიც სამეზობლოს მიღმა მყოფ ქვეყნებთან მიგრაციის საკითხებზე უფრო ეფექტურ თანამშრომლობას უზრუნველყოფს.

<u>ორმხრივად სასარგებლო მიგრაციისა და მობილობის ხელშეწყობა</u>
არარეგულირებული მიგრაციის მოგვარებაზე მიმართულ ძალისხმევასთან ერთად, ევროკავშირი კვლავ თავის აზრზე რჩება, რომ აუცილებელია ადამიანებს შორის კონტაქტების წახალისება. ევროკავშირი აპირებს შეიმუშავოს უკეთესი მექანიზმები იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს ევროპის შრომით ბაზარზე არსებული სამუშაო უნარ–ჩვევების ნაკლებობის გამოვლენა და ევროკავშირში მომუშავე მესამე ქვეყნების მოქალაქეების კვალიფიკაციის აღიარება.

ევროკავშირი განამტკიცებს თავის სამართლებრივ ჩარჩოებს და ხელს შეუწყობს მის სრულ, ყოველი პარტნიორი ქვეყნის საჭიროებებზე მორგებულ განხორციელებას, ევროპის სამეზობლოს ქვეყნებში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით.

2016 წლის მარტში ევროკომისია აპირებს წარმოადგინოს განახლებული ,,ევროკავშირის ლურჯი ბარათის დირექტივა“, რაც გააუმჯობესებს და კიდევ უფრო გაამარტივებს მესამე ქვეყნების მოქალაქე, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პირების ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა და იქ ცხოვრებას. ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს, ასევე, აკადემიური მობილობის გავრცობას და გაუმჯობესოს იმ პირობების სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც საფუძვლად უდევს ევროკავშირში შესვლას და იქ ცხოვრებას კვლევის, სწავლის, მოსწავლეთა გაცვლის, ტრენინგის და მოხალისეობის მიზნით.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობით ჩვენ ხელს შევუწყობთ კვალიფიციური სამუშაო ძალისთვის მიგრაციული სქემის შემუშავებას, რომელიც მოიცავს პრეფერენციული სქემების შეთავაზებას ევროპის სამეზობლო ქვეყნების იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც სურთ ევროკავშირთან მიგრაციის საკთიხებზე შემდგომ თანამშრომლობაში ჩართვა.

შეიქმნება ბიზნესთან, პროფკავშირებსა და სოციალურ პარტნიორებთან დიალოგის პლატფორმა შრომითი ბაზრის მოთხოვნების უკეთ შეფასებისა და იმ როლის დადგენის შესახებ, რომელიც მიგრაციამ შეიძლება ითამაშოს ამ პროცესში. გრძელვადიან პერსპექტივაში სასარგებლო იქნება ლეგალური მიგრაციის მიმართ ახალი მიდგომის შემუშავება, სადაც გამოყენებული იქნება ,,ინტერესის გამოხატვის“ სისტემა, რომელიც დამსაქმებლებს კანდიდატთა წინასწარ შერჩეული სიიდან პრიორიტეტული განმცხადებლების (აპლიკანტები) გამოყოფის შესაძლებლობას მისცემს.

ამავე სულისკვეთებით იქნება განხილული უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება დიასპორების წარმომადგენლებთან, რეგიონული მობილობის მექანიზმების დამყარება სამხრეთიდან–სამხრეთისკენ მობილობის ჩართვით, ასევე ვიმუშავებთ ცირკულარული მიგრაციის შესაძლებლობებზე, მათ შორის სპეციფიკურ სექტორების გამოყოფის საშუალებით (მაგ. სოფლის მეურნეობა ან ტურიზმი), როგორც ამას 2014 წლის ,,სეზონური მუშაკების შესახებ დირექტივა“ ითვალისწინებს. ევროკავშირმა ხელი უნდა შეუწყოს, ასევე , მიგრაციულ მექანიზმებს მცირე და საშუალო საწარმოებში და ტრენინგ პროგრამებს ევროპული ქვეყნების მეწარმეებისთვის.

ევროკავშირმა უნდა განიხილოს ევროკავშირში დროებით მცხოვრები ადამიანებისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ ისინი ჩაებან თავიანთი ქვეყნის ბიზნესში, პროფესიულ ან სხვა საქმიანობაში და პარალელურად შეინარჩუნონ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში მახოვრებლის სტატუსი. მოგვარებას საჭიროებს, ასევე, გზავნილების ეფექტურად გადარიცხვის საკითხი.

ჩვენ შევქმნით ახალ (Startback) ფონდს, რომელიც ,,ტვინების ცირკულაციის“ წახალისების დაფინანსებაზე იქნება მიმართული. ეს ფონდი დაეხმარება ევროკავშირიდან საკუთარ ქვეყნებში დაბრუნებულ მიგრანტებს, მოახდინონ რეინტეგრირება და წვლილი შეიტანონ თავიანთი ქვეყნების ეკონომიკასა და საზოგადოების განვითარებაში იმ უნარ–ჩვევებისა და ცოდნის საფუძველზე, რომელიც მათ ევროკავშირში მიიღეს.

ევროკავშირი განაგრძობს მიგრაციის თემაზე რეალისტური და სამართლიანი ნარატივის შექმნას და მკაცრად აღუდგება წინ რასისმისა და დისკრიმინაციის გამოხატვის ნებისმიერ ფორმას, ხელს შეუწყობს კულტურათაშორის დიალოგს, კულტურულ მრავალფეროვნებას და ურთიერთგაგებას.

<u>გაჭირვებულთა დაცვის უზრუნველყოფა</u>

ევროკავშირის გარშემო მდებარე უფრო ფართო სამეზობლოში რამდენიმე გაჭიანურებული კრიზისი არსებობს, სადაც მსოფლიოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა

დაახლოებით 40%–ია კონცენტრირებული. ამიტომ, ევროკავშირს მართებს უფრო ინტეგრირებული და სრულმასშტაბიანი რეაგირება, რომ დამყარდეს მჭიდრო კავშირები მოკლევადიან ჰუმანიტარულ საჭიროებებსა და უფრო გრძელვადიან განვითარებასა და უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს შორის.

ევროკავშირი უნდა დაეხმაროს პარტნიორებს თავშესაფრისა და დაცვის საკუთარი სისტემების შემუშავებაში; დახმარება ესაჭიროება კონფლიქტებით დაზარალებულებს, განსაკუთრებით იმ ლტოლვილებს, ვისაც ბავშვები ახლავს. უნდა მოხდეს მათი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილება, მათი უფლებების დაცვა და სოციალურ–ეკონომიკური და ადამიანური პოტენციალის გამოყენება იმ საზოგადოებებში, რომელშიც მათ დამკვიდრება უწევთ. ამ მიზნის მისაღწევად ძალზე მნიშვნელოვანია ახალი RDPPs პროგრამები (რეგიონული განვითარებისა და დაცვის პროგრამები ჩრდილოეთ აფრიკასა და სომალის ნახევარკუნძულზე), რომლებიც 2016 წლიდან ამოქმედდება, ასევე უკვე არსებული RDPPs პროგრამები ახლო აღმოსავლეთში (იორდანიაში, ლიბანსა და ერაყში). მათი მიზანია პარტიორი ქვეყნებისთვის დახმარების გაწევა იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაკადების მასპინძლობაში. ამისთვის უნდა გაიზარდოს მათი შესაძლებლობები და დახმარება, განსაკუთრებით ნაწილობრივ იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისა და მათი მასპინძელი თემის საერთაშორისო დაცვისა და თავშესაფრის საკითხებში გაძლიერებისა და გამძლეობის გაზრდის გზით.

<u>არარეგულირებულ მიგრაციასთან გამკლავება</u>

ევროკავშირი იმუშავებს ევროპის სამეზობლოს ქვეყნებთან – როგორც მოსახლეობასთან, ისე ამ ქვეყნებზე გამავალ ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა ნაკადებთან – იმისთვის, რომ მოხდეს არარეგულირებული მიგრაციის ძირითად მიზეზებთან გამკლავება და მათი შემსუბუქება.

ევროკავშირი იმუშავებს იმ ადამიანთა თავიანთ ქვეყნებში ღირსეულად და მდგრადი პერიოდით დასბრუნებლად, ვისაც აღარ აქვს ევროკავშირში დარჩენის უფლება. ეს შესაძლებელი გახდება რეადმისიის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერით, მათი სრულად განხორციელებისა და ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეადმისიის სქემების საშუალებით, როგორც ამას ევროკომისიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს. ევროკავშირი დაეხმარება ევროპის სამეზობლოს ქვეყნებს, შეიმუშავონ დაბრუნების თავიანთი პოლიტიკა, რომელიც მათ მესამე ქვეყნების მოქალაქეების თავიანთ ქვეყნებში დაბრუნების შესაძლებლობას მისცემს. უნდა შეიქმნას საკუთარ ქვეყანაში დაბრუნებულთა რეინტეგრირებისა და ამ ქვეყნების ეკონომიკასა და საზოგადოებაში წვლილის შეტანის მექანიზმი. ყველა მექანიზმი იქნება გამოყენებული დაბრუნებისა და რეადმისიის საკითხებში თანამშრომლობისთვის, რითაც რეადმისიას უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმობა არარეგულირებული მიგრაციის გამომწვევი და სატრანზიტო ქვეყნებთან დიალოგში[5]

ევროკავშირმა უნდა გაზარდოს სამეზობლოში ნაციონალური და რეგიონული სტრატეგიების შემუშავების მხარდაჭერა, რომელიც მიმართულია მიგრანტთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ და საზღვრის ინტეგრირებული მართვის სტანდარტის დასანერგად, ევროკავშირის სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობით.

სამეზობლოს პარტნიორებთან საზღვრის მართვაში პროაქტიული ჩართვა აუცილებელია მიგრაციიდან მომავალ წნეხთან გასამკლავებლად. დაინტერესებულ პარტნორ ქვეყნებთან ერთად

[5]EU Action plan on return , 9 September 2015, COM(2015)453 final

ევროკავშირი უფრო ინტენსიურად იმუშავებს ინფორმაციის გაცვლაზე და ადმინისტრაციული შესაძლებლობებისა და საოპერაციო–ტექნიკურ თანამშრომლობაზე. ამისთვის ჩატარდება ტრენინგები, კვლევა, განხორციელდება შესაძლებლობების გაზრდაზე მიმართული პროექტები და საპილოტე პროექტები პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ევროკავშირის უწყებებთან – FRONTEX და EUROPOL–თანამშრომლობით.

VI. რეგიონული განზომილება

კონსულტირების პროცესი ნაწილობრივ არსებული რეგიონული თანამშრომლობის ფორმატში წარიმართა და მომავალშიც გაგრძელდება. თუმცა, კონსულტაციების პროცესში ისიც დადასტურდა, რომ დიდია ინტერესი მეზობლების მეზობლებთან თანამშრომლობის ახალი გზების შემუშავებისა. * ევროპის სამეზობლოს ფარგლებს გარეთ გასვლის ახალი გზების მოძიება * ახალი თემატური ფორმატები, რომელიც ახალ გამოწვევებზე იქნება ორიენტირებული, მაგ.: მიგრაცია, ენერგეტიკა, უსაფრთხოება და ჯანდაცვა

2009 წელს ევროკავშირმა და მისმა ექვსმა პარტნიორმა ქვეყანამ შექმნეს აღმოსავლეთ სამეზობლო, რომელსაც საფუძვლად დაედო ფუნდამენტური ღირებულებები (დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების და ძირითადი უფლებების პატივისცემა), საბაზრო ეკონომიკა, მდგრადი განვითარება და კარგი მმართველობა. მას შემდეგ, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა გახდა თანამშრომლობისა და აზრთა გაცვლის აქტიური ფორუმი ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, განათლება და გარემო. 2015 წელს აღმოსავლეთ სამეზობლოს რიგის სამიტზე გაცხადდა, რომ უნდა გაძლიერდეს ინსტიტუტები და კარგი მმართველობა, მობილურობა და გაიზარდოს ადამიანთა შორის კონსტაქტები, ბაზრის შესაძლებლობები და კავშირები – ეს ის ზიარი პრიორიტეტებია, რომლებსაც პარტნიორები მისდევენ, მათ შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ჩარჩოს ფარგლებშიც. მხოლოდ ევროკავშირსა და მის პარტნიორებს აქვთ უფლება, გადაწყვიტონ, თუ როგორ სურთ მათ ამ ურთიერთობების გაგრძელება.

სამხრეთ სამეზობლოში რეგიონული თანამშრომლობა წარმატებულად მიმდინარეობს ,,ხმელთაშუაზღვისპირეთის კავშირის“ საშუალებით. ამ ორგანიზაციამ დაადასტურა, რომ ის არის პოლიტიკური და ეკონომიკური დისკუსიების მნიშვნელოვანი ფორუმი, რომელიც პარტნიორებს რეგიონში არსებული საერთო ინტერესებსა და მიმდინარე პროექტებზე დაყრდნობით თანამშრომლობის ჩარჩოს სთავაზობს. საჯარო კონსულტაციების პროცესში ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ აუცილებელია ამ თანამშრომლობის გაღრმავება. ევროკომისია და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი მუშაობენ იმისთვის, რომ მოხდეს რეგიონული თანამშრომლობის გამოცოცხლება. ამ მიზნით ევროკავშირი პრიორიტეტს მიანიჭებს ,,ხმელთაშუაზღვისპირეთის კავშირის“ ფარგლებში რეგიონულ თანამშრომლობაზე მიმართულ ძალისხმევას.

უნდა განმტკიცდეს თვით სამეზობლოს ქვეყნებს შორის თანამშრომლობა, ასევე უნდა მოხდეს წახალისება რეგიონთაშორისი თანამშრომლობა აღმოსავლეთსა და სამხრეთს შორის.
ევროკავშირის მაკრორეგიონული სტრატეგიებისა და ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამების ფარგლებში უნდა მოხდეს რეგიონული თანამშრომლობა სამეზობლოს ქვეყნებსა და

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის და კანდიდატ ქვეყნებსა და პოტენციურ კანდიდატებს შორის იმისთვის, რომ სრულად მოხდეს ამ პროგრამის შესაძლებლობების გამოყენება.

იმ შემთხვევაში, როცა სხვა პარტნიორებთან კავშირების დამყარებას და ურთიერთობას თანამშრომლობის უფრო ფართო ფორმატები ესაჭიროება, მესამე ქვეყნები უნდა იყვნენ ჩართულნი. რეგიონისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე თანამშრომლობისთვის ევროკავშირი სახელმწიფო აქტორებს, ასევე მრავალმხრივი აქტორებს შესათავაზებს თანამშრომლობის თემატურ ფორმატებს. ეს ფორმატები იქნება შეთავაზებული გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნებისა და სხვა პარტნიორებისთვის. თემატური ფორმატები იქნება, ასევე გამოყენებული იქნება რეგულარული დისკუსიებისთვის პოლიტიკის, პროგრამირების და ინვესტიციების სფეროებში ისეთი ერთობლივი მიდგომების შესახებ, რომლებიც სცდება სამეზობლოს საზღვრებს. თემატური ფორმატები გულისხმობს სამხრეთ და აღმოსავლეთ სამეზობლოში დროდადრო შეხვედრების მოწყობას წევრი ქვეყნების, სამეზობლოს ქვეყნების და რეგიონული პარტნიორების, ასევე საერთაშორისო ფინანსური ინტიტუტების და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა დონორების მონაწილეობით. საჭიროების შემთხვევაში მოწვეული იქნება სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორში დასაქმებული ორგანიზაციები. თემატური პლატფორმების ფორმატი და მონაწილეები განისაზღვრება განსახილველი საკითხების მიხედვით და არსებულ სტრუქტურებზე დაყრნობით იქნება მოწვეული. განსაკუთრებით პრიორიტეტული საკითხები იქნება მიგრაცია, ენერგეტიკა და უსაფრთხოება. თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყანაა და ევროკავშირისთვის და მისი პარტნიორი ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი მეზობელია. იმ თემატური პლატფორმების შემუშავებისას, რომლებიც სამეზობლოს სცდება, ევროკავშირმა უნდა განაგრძოს აქტიური მუშაობა თურქეთთან მხარეებისთვის საერთო საკითხებზე.

ევროკავშირის რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა გაუარესდა ყირიმის და სევასტოპოლის უკანონო ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინის დესტაბილიზაციის შემდეგ. არსებობს რეგიონისთვის მნიშვნელოვანი რამდენიმე საკითხი, რომლის შესახებ კონსტრუქციული თანამშრომლობა სასარგებლო იქნება საერთო საფრთხეების და შესაძლებლობების თვალსაზრისით, როდესაც ამის პირობები შეიქმნება.

ამ რეგიონულ ჩართულობას დაემატება სხვა ფორმატებში თანამშრომლობა. ევროკავშირმა უნდა გაზარდოს წვდომა თავის პარტნიორებთან სუბ–საჰარისა და საჰელის რეგიონში და ამ კონტექტსში უზრუნველყოს სინერგია კოტონუსშემდგომი დღის წესრიგის შესრულებაში. ევროკავშირი უნდა ჩაერთოს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში არსებულ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობაში პოლიტიკური დიალოგის, ინვესტიციების და დახმარების საკითხებში; ეს გულისხობს შემდგომი დიალოგის წარმართვას არაბთა ლიგის ქვეყნებთან, ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, სპარსეთის ყურის საბჭოსთან, აფრიკის კავშირთან, არაბული მაღრების კავშირთან, ასევე მუშაობას დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ფორუმთან (5+5 დიალოგი). შავი ზღვის სინერგიის ინიციატივა ჩამოყალიბდა საერთო პრობლემების მოგვარების ფორუმად, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს. ევროკავშირმა უნდა გააგრძელოს რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობა და კოორდინაცია ევროპის საბჭოსთან, ეუთოსთან და მის ინსტიტუტებთან.

ევროკავშირის სტრატეგია სირიისა და ერაყის, ასევე ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ გულისხმობს იმ ქმედებებს, რომლებსაც ახორციელებენ ევროკავშირი და მისი წევრი ქვეყნები

მშვიდობისა და უსაფრთხოების აღსადგენად სირიასა და ერაყში. რაც შეეხება ირანთან მიღწეული ბოლო პერიოდის შეთანხმების გათვალისწინებით, არის შესაძლებლობა შემდგომი თანამშრომლობისა რეგიონულ საკითხებზე, ენერგეტიკის ჩათვლით. ცენტრალური აზიის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით ევროკავშირმა უნდა განავრცოს თანამშრომლობა შესაბამის პარტნიორებთან რეგიონის ქვეყნებთან ძლიერი, სტაბილური და გამძლე ურთიერთობების დასამყარებლად.

VII. დახმარების უფრო ეფექტურად მიწოდება

VII.1 ფინანსური ინსტრუმენტების მოქნილობა

სამეზობლოს სტაბილიზაციაზე მიმართული ძალისხმევის დასახმარებლად ევროკავშირმა მნიშვნელოვანი თანხები გამოყო. ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი ფარგლებში 2014–2010 წლებისთვის გამოიყო 15 მლნ ევრო. მაქსიმალური შედეგების მისაღწევად ევროკავშირი შეეცდება დამატებითი თანხების მოძიებას საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმის (NIF) საშუალებით. ევროკავშირი მოახდენს ტექნიკური დახმარების ინსტრუმენტების (TAIEX and Twinning) მოდერნიზებას და სტრატეგიულად მომართვას საჭიროებებზე მორგებული დახმარების გასაწევად. ევროკავშირი და მისი პარტნიორი ქვეყნები განაგრძობენ ერთობლივად მუშაობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ევროკავშირის ფინანსურმა დახმარებამ მიაღწიოს ბენეფიციარებამდე და არ მოხდეს თაღლითობა.

ასოცირების დღის წესრიგი და პარტნიორობის პრიორიტეტები საფუძვლად დაედება დახმარების პრიორიტეტულად განაწილებას. პარტნიორებისთვის ორმხრივ ფორმატში გაწეული დახმარებაც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პრიორიტეტებს და მათ განსხვავებულ მოლოდინზე იქნება დამყარებული; პარტნიორი ქვეყნების მზაობა რეფორმების განხორციელებისა კვლავაც იქნება სამეზობლოს პროგრამის ფარგლებში თანხების გამოყოფის საფუძველი.

სამეზობლოში მიმდინარე მოვლენებმა გამოააშკარავა საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური დახმარების სულ უფრო მზარდი საჭიროება ტრანზიციისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ევროკავშირის არსებული მექანიზმები უზრუნველყოფს საკითხთა მთელი სპექტრის მხარდაჭერას, თუმცა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ შეზღუდულია იმ საჭიროებებთან შედარებით, რომლებიც არსებობს. სწორედ ამიტომ, მომდევნო რამდენიმე თვეში ევროკომისია განახორციელებს სიღრმისეულ შეფასებას, რომლის მიზანია ისეთი შესაძლებლობებისა და ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც უკეთ და უფრო ეფექტურად შეძლებს სამეზობლოს ქვეყნების ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილებას, ამავდროულად, დაეხმარება რეფორმებზე მიმართულ მიმდინარე ძალისხმევას. ეს შეფასება გაითვალისწინებს არსებული ინსტრუმენტებიდან მიღებულ გამოცდილებას და იმ გამოცდილებასაც, რომელიც გასული წლების განმავლობაში ევროკავშირის წევრი ქვეყნების დასახმარებლად იყო გაწეული.

სირიასა და უკრაინაში არსებულ კონფლიქტებზე რეაგირება და სატრასტო ფონდების გამოყენება არის ის მაგალითი, თუ რამდენად სწრაფად და მოქნილად შეუძლიათ ევროკავშირის ფინანსურ ინსტრუმენტებს მოქმედება. თუმცა, უფრო მეტია გასაკეთებელი უფრო სწრაფი დახმარების გასაწევად, ასევე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს დახმარება უკეთ იყოს ადაპტირებული სწრაფად ცვალებად პოლიტიკურ გარემოებებს და პრიორიტეტებს.

ევროკომისია და უმაღლესი წარმომადგენელი შეეცდებიან, დააჩქარონ დახმარების გაწევის მექანიზმი პროცედურების დახვეწის გზით. ისინი განიხილავენ სამეზობლოს ინსტრუმენტის ფარგლებში ე.წ. ,,მოქნილობის“ მექანიზმის შექმნის შესაძლებლობას, რაც ნიშნავს, რომ მოხდება გარკვეული ფინანსური თანხების შენახვა იქამდე, სანამ საჭირო არ გახდება მათი გაუთვალისწინებელ მოვლენებისთვის გამოყენება, განსაკუთრებით კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში – ლტოლვილთა დასახმარებლად, კრიზისებზე და კატასტროფებზე რეაგირებისთვის და უსაფრთხოებისა და სტაბილიზაციის პროგრამებზე.

განხილული იქნება ფინანსული რეგულაციების შეცვლა იმისთვის, რომ ,,მოქნილობის“ მექანიზმის ფარგლებში არსებული გამოუყენებელი თანხები მომდევნო წელზე გადავიდეს. ევროკავშირის საგარეო დახმარების ფინანსური ინსტრუმენტების 2017 წლის შუალედური შეფასებისას მოხდება ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივების განხილვა და, თუ საჭირო გახდება, შემუშავდება წინადადებები სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დონორთა საქმიანობის უკეთ კოორდინირება რესურსების მაქსიმალურად გამოყენების აუცილებელი პირობაა და ხელს უწყობს ევროკავშირის დახმარების უკეთ წარმოჩენას. აუცილებელია რეგიონში ევროკავშირის ერთიანი რეაგირება და ევროკავშირის, როგორც ბრენდის წარმოჩენა, რაც გულისხმობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ერთიან პროგრამირებას და ევროკავშირის ყველა ინსტიტუტის მიერ ერთიანი ანალიზის წარმოდგენას (ევროკავშირის წარმომადგენლობები, CSDP მისიები და ევროკაშირის სპეციალური წარმომადგენლობები). გამარტივებულმა მიდგომებმა ხელი უნდა შეუწყონ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და სამსახურებთან ერთობლივი პროექტების წამოწყებას.

ევროკავშირი გააძლიერებს და გამოიყენებს კოორდინაციის ეფექტურ მექანიზმს ევროკავშირის სხვა საფინანსო მექანიზმებთან, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან, აფრიკულ კავშირთან, არაბული ქვეყნების ლიგასთან და სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოსთან თანამშრომლობისთვის, ასევე იმუშავებს ხმელთაშუაზღვისპირეთის კავშირთან, აღმოსავლეთ პარტნიორობასთან და რეგიონულ ფორმატებთან.

VII.2 ცნობადობა, თვალსაჩინოება, კომუნიკაცია და ინფორმაციის გავრცელება

განახლებული ევროპის სამეზობლო უდიდეს მნიშვნელობას მიანიჭებს ევროკავშირის პოლიტიკის შესახებ კომუნიკაციასა და ევროკავშირის პოპულარიზაციას. უკეთესი ხარისხის საჯარო დიპლომატია დაეხმარება იმ საფუძვლების ახსნას, რომელიც ევროკავშირის პოლიტიკას უდევს საფუძვლად და იმ დადებითი შედეგების ადამიანებამდე მიტანას, რომელიც ევროკავშირის დახმარებას მოაქვს. ევროკავშირმა საგრძნობლად უნდა გაზარდოს ცნობადობა იმ დახმარებისა, რომელიც 2014–2020 წლებშია გათვალიწინებული. სწორედ ევროკავშირის ცნობადობის გაზრდა უნდა იყოს დახმარების განმახორციელებელ პარტნიორებთან თანამშრომლობის ერთ–ერთი აუცილებელი პირობა. დახმარება ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი და სანდო მედიის განვითარებას. ევროკავშირმა შესაძლოა მხარი დაუჭიროს, ასევე, თვით მთავრობების შიგნით სტრატეგიული კომიუნიკაციის უნარის განვითარებას იმისთვის, რომ მთავრობამ უკეთ შეიცნოს საზოგადოებრივი აზრი, დაგეგმოს და მოახდინოს კამპანიების ისე ადაპტირება, რომ მათ შეძლონ რეფორმებიდან მიღებულ სარგებელზე ყურადღების გამახვილება.

ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ევროკავშირმა პარტნიორებთან ერთად უნდა იმუშავოს ევროკავშირის შესახებ დეზინფორმაციის გამოვლენაზე და მასზე პოზიტიური რეაგირება უნდა მოახდინოს. პროაქტიული სტრატეგიული და ტაქტიკური საკომუნიკაციო ხერხები შესაძლებლობას მისცემს ევროკავშირს და მის პარტნიორებს უფრო კარგად განახოციელონ მედიის მონიტორინგი და ანალიზი, რომ უფრო გასაგები გახდეს პარტნიორ ქვეყნებში გავრცელებული აზრი და ნარატივი; უნდა მოხდეს ახსნა იმ სარგებლისა, რომელსაც რომელსაც თითოეული ქვეყანა იღებს ევროკავშირთან თანამშრომლობის შედეგად. საბოლოო მიზანი არის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში მიმდინარე დახმარების თანამშრომლობის შესახებ პოზიტიური ნარატივის შექმნა.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების უფრო აქტიური მონაწილეობა კომიუნიკაციის პრიორიტეტების განსაზღვრაში მეტად დაეხმარება ევროკავშირს ერთიანი პოზიციით წარმოჩენაში. ევროკავშირის წარმომადგენლობები აქტიურად ითანამშრომლებენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და ერთობლივად ჩაერთვებიან პარტნიორ ქვეყნებთან, განსაკუთრებით სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობაში. აუცილებელია, ასევე თვით ევროკავშირის ფარგლებში საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარება იმისთვის, რომ ავუხსნათ ჩვენს მოქალააქეებს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირის სამეზობლოში სტაბილური, უსაფრთხო და კეთილდღეობით აღსავსე ქვეყნების არსებობა თვით ევროკავშირის სტაბილურობისა და კეთილდღეობისთვის.

ამ სფეროში ევროკავშირმა უფრო მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს მთავრობებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, ბიზნესთან, აკადემიურ წრეებთან და პარტნიორი ქვეყნების სხვა მოქალაქეებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან, სამეცნიერო დიპლომატიის ჩათვლით.

პარინიორობა ახალგაზრდებისთვის

მოხდება სამეზობლოს ახალგაზრდობასთან ურთიერთობაში უფრო აქტიურად ჩაბმა პარტნიორობების შექმნის გზით. ეს პარტნიორობები ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს შორის კონტაქტებსა და ახალგაზრდული ქსელების შექმნას ყველა ასაკის ახალგაზრდებისთვის როგორც ევროკავშირში, ისე სამეზობლოს ქვეყნებში, რაც ხელს შეუწყობს ერთმანეთის პატივისცემას, ურთიერგაგებას და ღია საზოგადოებების განვითარებას. მოსალოდნელია სკოლებსა და უნივერსიტეტებს შორის გაცვლების მნიშვნელოვანი ზრდა, მათ შორის ,,სამეზობლოს ევროპული სკოლის“ საცდელი პროექტის შესაძლო ჩამოყალიბება. პროგრამა ერაზმუსის ფარგლებში სტუდენტთა მოგზაურობაზე დღეს არსებული შეზღუდვების მოხსნა ხელს შეუწყობს უფრო მეტი ახალგაზრდა ევროპელის სწავლას პარტნიორ ქვეყნებში, რომ მოხდეს ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის კავშირების გაზრდა.

,,ევროპის მეგობართა“ კლუბებისა და ალუმნი ქსელების შექმნა მათი მონაწილეობით, ვინც ჩართული იყო ევროკავშირის ღონისძიებებში, ასევე, ,,ახალგაზრდობის ელჩების“ ქსელის შექმნა (თუ ამის შესაძლებლობა იქნება) შეიძლება გახდეს კარგი მექანიზმი იმ პლატფორმებთან ერთად, რომელთა შექმნაც გააადვილებს ურთიერთობების დამყარებას ევროკავშირის და სამზობლოს ახალგაზრდა ლიდერებს შორის, ასევე იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც მომავალში გავლენას მოახდენენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე.

VIII. შემდგომი ნაბიჯები

განახლებული სამეზობლო პოლიტიკის შესახებ ფორმალური კონსულტაციების პროცესი წინამდებარე ერთობლივი კომუნიკაციის შემუშავებით დასრულდა. 2016 წლის განმავლობაში ჩვენ ვაპირებთ ერთობლივ კომუნიკაციაში მოცემული წინადადებების და ევროკავშირის მიერ განხილვების შედეგად მიღებული პოზიციის პარტნიორ ქვეყნებთან განხილვას იმისთვის, რომ მოხდეს ჩვენი სამომავლო ურთიერთობების ერთობლივად განსაზღვრა, ერთობლივ კომუნიკაციაში მოცემული რეკომენდაციების საფუძველზე.